

40  
957/3

1951

საქართველოს  
ბიბლიოთეკები

82 140/3



ს. ი. ნ. ე. ნ. ი

10  
1951



# პ ი ო ნ ე რ ი

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის  
უკველთვიური საბავშვო ჟურნალი

№ 10 ოქტომბერი 1951 წელი  
საბლიტგამი  
წელიწადი XXV



ПИОНЕРИ Ежемесячный детский журнал Центрального Комитета ЛКСМ Грузии

## თბილისი ხალხთა მშვიდობას იცავს

თბილისის სიტყვა და საქმე აქვს მტკიცე,  
დედის გულივით თბილი აქვს მიწა,  
როგორც მოსკოვი, თბილისიც ისე  
მშვიდობას იცავს.

მრავალი ბრძოლის არის მნახველი  
და მზე არასდროს დაებინდება,  
კობა აქ სკუდდა გმირთა სახელით  
მშრომელი ხალხის ბედს და დიდებას.

ო, რამდენს ჰქონდა მიზნად, ვინ იცის,  
ფეხქვეშ ეთელა მზიანი მიწა,  
მაგრამ კვლავ ბრწყინავს ზეცა თბილისის,  
თბილისი ხალხთა მშვიდობას იცავს.

მტარვალი ომის ფიქრში გართული  
ვერ დაიმონებს თბილისს მახვილით,  
მსოფლიოს ესმის მისი ქართული  
და მშვიდობაზე მისი ძახილი.

წინ მიგვიძღვება პარტია მტკიცე,  
მის სახელსა და დიდებას ვფიცავთ,  
მშვიდობას იცავს მოსკოვი ისეც,  
ჩვენი თბილისიც მშვიდობას იცავს.

გიორგი გიგაური



# ამსახურები

ნინო ნაკაშიძე

მხატვარი მ. დაუშვილი

მ ო თ ხ რ ბ ა

## I

არჩილი დაფიქრებული იჯდა პიანინოსთან. გივი რომ შევიდა, გაეხარდა.

— გივი, — შესძახა მან, — რაც მოვედი, გაკვეთილს ვუკრავ.

— მერე?

— მაგრამ დავიწყებ თუ არა, ისევ ჩემ პიესაზე გადავდივარ. შენ წარმოიდგინე, არ ეცი რა ვქნა. ვაი, თუ ჩავიჭერი.

— ოჰ, რას ამბობ, როგორ ჩაიჭრები! აბა, დაუჯარი.

— ჩაიკოვსკი, ხომ? — თქვა მან და დაიწყო გრძნობით. გივი გულმოდგინედ უსმენდა.

— ო, ეს ძალიან კარგია, ძალიან კარგი... აჰ, — უცებ წამოიძახა, — სხვაზე გადახვედი.

არჩილმა უმალ აიტაცა თავისი ნოტები, წელში გასწორდა და დაჰკრა თითები კლავიშებს... დიდხანს უკრავდა, სახე თანდათან სიხარულით უბრწყინდებოდა და მთელი ტანი ირხეოდა, თითქოს თრთისო. თავი პიანინოს კლავიშებზე დახარა. გივი ალტაცებით შესცქეროდა.

— ოჰ, რა მშვენივრად უკრავდა არჩილი თავის პიესას.

არჩილმა დაკვრა გაათავა, გაჩერდა, წელში გასწორდა.

— საუცხოოა, არჩილ. იცი, რა გითხრა? მოდი, ეს შინი პიესა დაუჯარი კონცერტზე, სთხოვე მასწავლებელს.

— არა, გივი, არაფერი გამოვა. იღვლავ და მთლიანად გავაფუჭებ. აბა, ახლა შენ დაუჯარი და მე მოგისმენ.

გივიმ დაუჯრა.

— მშვენიერია. აბა, ახლა დაჯექი და გაკვეთილი ისწავლე.

არჩილი პიანინოს მიუჯდა.

— ხედავ, რა კარგად უკრავ, — უთხრა გივიმ.

— მართლა? ტექნიკა?

— ტექნიკაც საუცხოო გაქვს, ტყუილად გეშინია.

— იფიქრობ, ჩაიკოვსკის მუსიკის დაკვრა იღვი უკეთესად შეიძლება. მაგრამ თუ შენ ჩემთან დაჯდები...



— რასაკვირველია, შენთან დაჯდები. აბა, ახლა ერთხელ კიდევ დაუკრავ შენს პიესას.

## II

მუსიკალური სკოლის დიდი დარბაზი ყვეალებით მორთული და გაჩირალდნებული იყო.

აქ ისხდნენ მასწავლებლები, ბავშვებმა, მშობლები და სტუმრები. ყველას მღელვარება უკრთოდა სახეზე.

დღეს მერვე და მეცხრე კლასის მოწაფეების საჯარო, ღია კონცერტი იყო, და აქ გადაწყდებოდა, თუ ვის დაუშვებდნენ გამოცდაზე და ვის არა.

არჩილი და გივი ერთად ისხდნენ.

რაც უფრო ახლოვდებოდა მათი დაკვრის დრო, არჩილი უფრო და უფრო ღელავდა. გივის ეჭირა მისი ხელი და ხანდახან ოდნავ მოუჭერდა ხოლმე გასამხნეველად.

— არჩილ რევაზიშვილი! — გაისმა დირექტორის ხმა.

არჩილი ადგა, შეხედა გივის და ნელა წავიდა როიალისაკენ. გაისწორა სკამი, დაჯდა, გაიხედა მასწავლებლისაკენ და დაიწყო დაკვრა ნელა. მაგრამ თითქოს საჭირო კილოს ვერ მიაგნო, და უცებ აუჩქარა. მალე რაღაც უცნაურ მუსიკაზე გადავიდა, ერთს წუთს თითქოს სახე სიხარულით გაუშუქდა, მაგრამ სასწრაფოდ ადგა და გაჩერდა თავჩალუნული.

— აჰ, რა დაგემართა? — შესძახა მასწავლებელმა. — დაჯექი.

— მეგონა უკეთესად დაუკრავდა, — უთხრა...



მას დირექტორმა და გივი სოლიკაური გამო-  
იძახა.

გივი ადგა და ნელი ნაბიჯით, შეწუხებული  
მივიდა როიალთან. შეჩერდა და მოიხედა  
ჯერ მასწავლებლისაკენ, მერე არჩილისაკენ,  
რომელიც დაღონებული თითქოს ტირილს  
აპირებდა, იდგა კარებთან და ის-ის იყო  
უნდა გასულიყო კარში, რომ გივის შეხედა  
და შეჩერდა.

გივის ელვასავით გაურბინა რაღაც აზრმა  
თავში, თვალები გაუბრწყინდა, დაჯდა, თამა-  
მად დაჰკრა თითები კლავიშებს.

— ა? — გაიოცა მასწავლებელმა, — რას უკ-  
რავს?! მოცარტის რეკვიემი უნდა დაეკრა...  
ეს კი... — და გივის შეჩერება დააპირა.

— არა, დაიცადეთ, მოკუსმინოთ, რაღაც  
კარგია. თითქოს დილის ასახვაა, — თქვა დი-  
რექტორმა.

— სწორედ დილაა. დილა მზიური, —  
თითქოს ამბობდა კლავიშებზე გივის თითე-  
ბის მოძრაობა. და, მართლაც, თითქოს მზე  
ამოდიოდა დიდი და წითელი. აი, სხივებაც  
სტყორცნა სერზე შეფენილ სოფელს. ააშ-  
რილა ქოჩორა ტყე, აყრიამულდნენ ფრან-  
ველები. ახმაურდა ხალხი... საამურად აე-  
ღერდა მწყემსის სალამური და საძოვრებისა-  
კენ მოუხმობდა შარაგზაზე ბაკიბუკით მიმა-  
ვალ ნახირს. აგერ კოლმეურნეები მიდიან  
ყანებისაკენ სიმღერით. ისმის ქალების სიცი-  
ლი. ბავშვების ყვილ-ხივილი. თითები ნელა  
თამაშობდნენ კლავიშებზე. უცებ სურათი  
შეიცვალა. თითქოს ჰაერი გაავსო პიონერე-  
ბის სიმღერამ. — ოჰ, ეს ხომ სიხარულის ჰამ-  
ნი იყო...

გივიმ დაუშვა ხელები მუხლებზე.

გაისმა მთელი დარბაზის აღტაცებული  
ტაში.

— რა საუცხოო მუსიკაა...

— რა დაუკრა?

— ვისი მუსიკაა? — ისმოდა ყოველი მხრი-  
დან.

გივი იდგა და მოკრძალებით თავს უკრავ-  
და აუდიტორიას.

არჩილი თითქოს გაიხარდა, არცაა  
წელში და გაფართოებული თვალებით  
ცქეროდა გივის.

— რა დაუკარი, სოლიკაურო? — ჰკითხა  
დირექტორმა მხიარულად გივის.

— არჩილ რევაზიშვილის მუსიკა, პატივ-  
ცემულო დირექტორო, „დილა კოლმეურნე-  
ობაში“.

— როგორ თუ რევაზიშვილის?!

— დიახ, რევაზიშვილისაა, მხოლოდ მის  
მაგიერ მე დავუკარი... ახლა კი ჩემს გაკვე-  
თილს დავუკრავ.

— არა, დაიცა, ერთხელ კიდევ დაუკარი,  
ენახოთ...

სოლიკაურმა მეორედაც დაუკრა და გა-  
ოფლიანებულმა და გაწითლებულმა საჩქა-  
როდ წარმოთქვა:


— მაპატიეთ, რომ წესი დავარღვიე... ახ-  
ლა დავუკრავ...

— დაიცა, — უთხრა დირექტორმა და მი-  
მართა საზოგადოებას: — ამხანაგებო, სოლი-  
კაურმა, მართალია, დაარღვია წესი, მას სრუ-  
ლიადაც არ უნდა დაეკრა რევაზიშვილის  
პიესა, მაგრამ ამხანაგურმა გრძნობამ უკარ-  
ნახა დახმარებოდა ნიჭიერ ამხანაგს. მან  
უდავოდ გაგვაცნო რევაზიშვილის ნიჭი და,  
რასაკვირველია, თავისიც, და, ვფიქრობ, პედა-  
გოგიური საბჭო აპატიებს თვითნებობას და  
ამ ნიჭიერ მოწაფეს, რევაზიშვილთან ერთად,  
დაუშვებს შემდეგ კლასში გადასასვლელ გა-  
მოცდაზე.

ყველა კმაყოფილი დარჩა დირექტორის  
განცხადებით.

არჩილის დედა გახარებული ჰკოცნიდა  
გივის.

— ირინე, სკოლაც უნდა ამაყოფდეს ასე-  
თი მოწაფეებით, მაგრამ შენ და არჩილის  
ოცდა ხომ ბედნიერები ხართ. ასეთი შვილე-  
ბი რომ გყავთ. — ეუბნებოდა გივის დედას  
ერთი მისი მეგობარი ქალი.





# იური თაიბა

ქ. მესხი

ნ ა რ კ ვ ი ბ ი

მხატვარი ა. შიშხიანი

თავისი ფიცრული ქოხიდან გამოსული ჭალაოა ყეზეთი ქვაზე მორთხმულიყო. შუა-ცეცხლის ბოლით აცრემლებულ თვალებს დაკოყრებული ხელისგულით ისრესდა.

— ხემიდ, ჭადებს დახედე. ბევრი ნაცარი არ შეპყვეს! — ასეთ ძახილზე მოისმა ქალის ხმა:

— ნუ დარდობ. ყეზეთ. ჩვენი ბავშვები დანაცრულ ჭადს ჩვეული არიან. მაინც შექამენ...

ყეზეთმა დარდიანად გახედა სიმინდისა და ბრინჯის ყანას.

— რა უბედურებაა, მთელი ჯან-ღონე ჩაღალიე ამ ტიალს და მაინც ვერ იხარა. რას იზამ კაცი. ჭახათი მწირია, მისი მიწა გამოფიტულია. — ჩაილაპარაკა და ზედიზედ გააბოლა ჩიბუხი. ყეზეთი ყურადღებით გაჰყურებდა კეკიეთის მთას და ხეჩვისთავის რაყში მიმავალ ბილიკებს. უკვე დრო იყო მის ბიჭებს—ასლანს, დურსუნს და მურადს—მემედ აღას თხები და ცხვრები ჩამოერეკათ. და აი, ტყეში სარტყელივით დაგდებულნი გზა წვრილფეხობის ფარამ გადაათურა.

ამ დროს ყეზეთს ხმამაღალი ტირილი შემოესმა.

— ჩემი დურსუნი უნდა იყოს, მის ხმას ჰკავს. — გაიფიქრა ყეზეთმა, წამოდგა და სწრაფად გამოვიდა ქოხიდან. მას გამოჰყვა ხემიდი. მისი ცოლი, რომელსაც ნაკერავებისაგან აჭრელებული კაბა ემოსა, ორთავემ სოფელზე ჩამავალი გზისკენ მიიხედის.

— დურსუნ, ა, დურსუნ! — გასძახა ყეზეთმა.

ამ დროს ეზოზე შემოვლილებულ ხმად და ალაგ-ალაგ დაღეწილ, გამხმარ ღობეზე ყეზეთის ბიჭები გადმოხტნენ. დურსუნი კი ხმამაღლა მტრიალი ძლივს შემოვიდა ეზოში კოკლობით.

— დედა გენაცვალოს, რა ამბავია, დურსუნ? — ეკითხებოდა ხემიდი.

— მიშველეთ, მეზობლებო! — იძახდა ყეზეთი. მშობლები პატარა დურსუნს დასტრიალებდნენ. მას შიშველი ფეხის ქუსლიდან სისხლი სდიოდა.

— ვაი, ჩემს დღეს და ასეთ სიცოცხლეს, ბავშვს წულა ვერ ჩავაცვი. მეც კაცი ვარ, რაღა! — იძახდა გამჟარებული ყეზეთი.

გაჩნდნენ მეზობლები. ერთმა ტანმორჩილმა დედაკაცმა ბავშვს ღრმად შერტობილი ეკალი დიდი წვალეებით გამოუღო, მეორემ შუა-ცეცხლის პირდაპირ დაშვებულ საკიდელს ჭეარტლი მოაცილა, პემვით გამოიტანა და ბიჭს ჭრილობაზე დააყარა.

— მოუხდება, ჩემს ბავშვებსაც ასე ვწამლობ, — ამწვიდებდა ხემიდსა და ყეზეთს ტანმორჩილი ქალი.

როცა ბიჭს ფეხი ძონძებით შეუხვიეს, იგი სეკეზე\* დააწვირეს. შემოქექილი, ბამბემამოყრილი საბანი წაახურეს.

სეკეზე წამოწოლილ დურსუნს, მთელი დღე თხებისა და ცხვრების დევნაში დაღლილს, ძლივს მიეძინა. სიცხისაგან გათანგული ამოიკვნესებდა ხოლმე. მის ახლო წაგორებულ იყვნენ დანარჩენი ბიჭები. სახლის ფარალაღალა კედლებში სტვენით შემოდდიოდა ქარი.

— ასმათი რად იგვიანებს, ნეტაუ? — მიმართა ცეცხლის პირას მჯდომმა ყეზეთმა ცოლს. ხემიდმა ცოტა ხანს შეაჩერა ოთის-ტარი. თავისუფალი ხელით გახუნებული ხილაბანიდი აიკეცა.

— ამდენ ხანს სად უნდა იყოს?

ხემიდს აღეღვება დაეტყო. ვერ ვაეგო,

\* სეკე — კელის გასწვრივ გაყოლებული ფიცარი, რომელზედაც წვებოდა მთელი ოჯახი.

თუ რით უნდა ყოფილიყო გამოწვეული ას-  
მათის დაგვიანება.

ლამდებოდა. ასმათის მოლოდინში ყუხეთს  
შუკვე რამდენიმეჯერ ჩათვლიდა შუაცეცხ-  
ლის პირას. გამოსაფხიზლებლად ისევ გატუნა  
ჩიბუხი წეკოთი და ამ დროს ჩაესმა:

— ყუხეთ, გოგო შეგვიშინდება. ალბათ  
ტყეში თუ ჩამორჩა სადმე. ჩანს, საქონელი  
დაეკარგა და დაეძებს. სხვა გზა არ არის.  
ჭრაქი და კვარი წაიღე, მონახე ასმათი.

ყუხეთი მძიმედ წამოდგა, ზედიზედ გადა-  
აფურთხა მწარე წეკოს გემოთი სახედაღმე-  
ტილმა და გახევებული, დამსკდარი ხელის-  
გულით მოიწმინდა მეჩხერ წვერში შემა-  
ლული ტუჩები და ნიკაპი. შემდეგ ჩახვეუ-  
ლი შუაცეცხლი დაბებრებული ცერით გაჩ-  
ხრიკა, კვარი მიადო მუგუზხალს და დიდ-  
ხანს უბერავდა. თვალები დაებერა, ცრემ-  
ლები შემოაწვა და ბოლოს, როგორც იქნა,  
კვარი აენთო.

გვიან ღამით ტყიდან დაბრუნდნენ მამა-  
შვილი. დაკარგულ საქონელს ეძებდა თურმე  
ასმათი, ძლივს მიუკვლევიათ ბოლოს.

... წვიმიანი შემოდგომა იყო. სოფლის  
ორღობებში ქენჭეხები და გუბეები გახ-  
შირდა. ბურუსი არ შორდებოდა კეჭეთის  
დაფერდებულ კალთებს. ნესტმა დაიბუღა  
ყიხეთის ქოხში. მოხუცმა უკვე დიდი ხანია  
შეიხვია წელი ძველი შალით. დილდილო-  
ბით სეჭვიდან ხველებით დგებოდა. სარ-  
კმელში გაიხედავდა, ქალაჩით შევერცხლიდ  
წარბებს შეჰკრავდა და წეკოთი გამომწარე-  
ბული პირის წლაპუნით შესძახებდა:

— ჩამოიქცა ეს ოხერი ზეცა, ისევ წვი-  
მას აპირებს, სახლი წამექცევა, ცოლ-შვილი  
ამომიწყდება.

... ასეთი უსიცოცხლო დღეებით გადიოდა  
ყუხეთის ოჯახის ცხოვრება, სიმწარეს ახა-  
ლი სიმწარე მოსდივდა.


მაგრამ ეს იყო წყვეთ წარსულში.

## II

ქობულეთის რაიონის სოფელი ხუცუბანი  
მდიდარია ჩაის პლანტაციებით, მანდარინისა  
და ლიმონის ვრცელი ბაღებით. მადლობიდან  
თქვენ თვალწინ გადაიშლება ხან მშვიდი  
და მოღვივლივე, ხან კი ბობოქარი და მრის-  
ხანე შავი ზღვა.

კოლმეურნეობის კანტორიდან მარცხნავ,  
ტუნგოს ხეივანსა და ციტრუსოვანი ნარგა-  
ვების ფონზე, კეკლუცად გამოიყურება ორ-  
სართულიანი კოტეჯი. ჰერმალაი აივანი,  
ცისფრად შეღებილი კედლები მომხიბვლე-  
ლობას ჰმატებს ამ სახლს.

იღება აივნის კარი, ქვის კიბეზე მოკლე-



სწრაფი ნაბიჯით ჩამოდის ორი თეთრკაბი-  
ანი ქალი. ორთავეს მაღალ მკერდზე უბრწ-  
ყინავს ლენინის ორდენი და მედალი ნამგა-  
ლი და ურო. ერთი მათგანი ქახათელი ყე-  
ხეთის ქალიშვილია — ასმათი, მეორე კი  
16-17 წლის გოგონა, ასმათის ქალიშვილი  
გულიკო, წითელლოყებიანი და შავნაწნავე-  
ბიანი. ორივემ თეთრი წნელებისაგან დაწ-  
ნული კალათებით ხელში მხიარულად ჩაირ-  
ბინა უზოში. აქ, სმირტოტიანი ევკალიპტის  
ქვეშ, ამომავალი მზის სხივებზე ელავს მათი  
მანქანა „პობელა“. ოჯახის მამა დავით ჯი-  
ჯავაძე საჭესთან ზის. დედა-შვილმა ორი  
მხრიდან გაალო მანქანის კარი და ჩალისფე-  
რი „პობელა“ მალე მოეფარა მწვანე ხეი-  
ვანს.

ისინი ჩაის პლანტაციაში მივიდნენ სამუ-  
შაოდ.

გახაფხულის გრილი საღამო ჩამოდა. ბო-  
ლოკუტუსასრულლო ქოლგასავით გადაშლილი-  
ყო სოფელ ხუცუბანის თავზე მაისის კრაა-  
ლა ცა. ყვავილთა სურნელოვანი სუნთქვა  
იგრძნობოდა ირგვლივ. ფერად-ფერადი აბ-  
რეშუმის კაბების კალთების შრიალით მი-  
მოდიოდნენ კოლმეურნე ქალები და გოგო-  
ნები კანტორის წინ მოასფალტებულ მიწ-  
იანზე. ახალგაზრდები ნაირფერი ქსოვილე-  
ბის კოსტუმებში იყვნენ გამოწყობილნი.  
კანტორის ფართო აივანზე, რომელსაც ლა-  
მაზი რიკიკლები გასდევს, ბოლთას სტეჟა  
კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

აიგნიდან ზარის ხმა მოისმა და ხალხმა  
მშვიდნივრად მორთული კლუბის შენობას  
მოაშურა.

თავმჯდომარემ გახსნა კრება. აირჩიეს  
პრეზიდიუმი და სიტყვა ჩაის უხვი მოსავ-

ლის მიღების თავის გამოცდილების შესახებ ძიეცა ასმათ ჯიჯავაძეს. იგი მღელვარებით მივიდა წითელი ქსოვილით დაფარულ ტრიბუნასთან.

— ამხანაგებო, იყო დრო, როცა ჩვენი თანამემამულეები ამბობდნენ მწირია აქაური მიწა და ამიტომ ვართ ღარიბებო, — დაიწყო ასმათმა. და ილაპარაკა, თუ რა აუტანელი ცხოვრება ჰქონდა მის დედ-მამას, როცა შრომა ბორკილდადებული იყო, შიგონა შიმშილში გატარებული ბავშვობის დღეები.

მაგრამ სულ სხვა ცხოვრება დაიწყო სოციალისტური რევოლუციის შემდეგ, როცა მშრომელი თვით გახდა მიწის მფლობელი.

ელნათურით გაჩირადდებულ დაბაზში ტაში აქუნდა. ამ დროს ყველანი სცენის სიღრმეში იყურებოდნენ, სადაც შინდისფერი აბრეშუმის ტილოზე მოჩანდა ხალხთა ბელადის, დიდი სტალინის პორტრეტი.

როცა ტაში შეწყდა, ასმათმა ლაპარაკი განაგრძო მისი რგოლის შრომითი წარმატებების შესახებ.

— პირადად მე 1947 წელს 0,5 ჰექტარ ფართობზე 6 ტონა და 600 კილოგრამი ჩაი მოკერიფე და სოციალისტური შრომის გმირის წოდება მომანიჭეს. ამავე წოდების ღირსი გახდა ჩემი ქალიშვილი, მოსწავლე გულიკო ჯიჯავაძე. 0,5 ჰექტარზე 1949 წელს მან მოკრიფა 6 ტონა და 400 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი. 1950 წელს ჩვენმა რგოლმა ორნახევარ ჰექტარზე მოკრიფა 48 ტონა და 56 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი.

ასმათმა დაწვრილებით გააცნო დამსწრეთ თავისი გამოცდილება. აღნიშნა, თუ როგორ ამუშავებს ნიადაგს, როგორ ამზადებს მინერალურ სასუქებს პლანტაციის შესატანად, როგორ იცავს ჩაის ფოთლის კრეფის წესებს, როგორ ებრძვის ჩაის მავნებლებსა და ავადმყოფობას.

— სოციალისტურმა შრომამ ხევით ავსო ჩემი ოჯახი, — განაგრძო ასმათმა. —

გასულ წელს ჩვენმა ოჯახმა ორი ათასი შრომადღე გამოიმუშავა და ფულად მართა 44 ათასი მანეთი. გარდა ამისა, 14500 მანეთით დაგვაჯილდოეს. მარცვლეულის ანგარიშში 14 ტონა ხორბალი და სიმინდი გვერგო.

ასმათის შემდეგ ბევრი კოლმეურნე გამოვიდა სიტყვით. მათაც ილაპარაკეს თავიანთ წარმატებებზე, იმის შესახებ, რომ ბედნიერი გახდა ცხოვრება საკოლმეურნეო სოფელში.

ვახშობისას დაიშალა ხალხი. გულლადი ადამიანები სახლებისაკენ მიეშურებოდნენ. მოშორებით მაცხოვრებელი მანქანებით მისრიალებდნენ ევკალიპტების მკიდრო რიგებით დამშვენებულ გზაზე.

გულიკომ და დედამისმა ხელი-ხელგადახვეულებმა აირბინეს ქვის კიბე და აივანზე შეისვენეს. ქალიშვილმა რადიომიმღები ჩართო. სიმფონიური კონცერტის ზავერდოვანი ქლერა გაიჭრა ლიმონებისა და მანდარინების ბაღში, გაიჭრა უფრო შორს, ყრუდ მოშრიალე ტყეებისაკენ, ღრუბელთა ქვეშ გარინდებული ზღვისაკენ...

ელექტროს შუქი ელავდა ნიკელის საწოლებზე. ვარდისფერ ნოზზე ჩანდა ყეზეთისა და ხემიდის სურათები, ასმათის ვაჟი-შვილის რამაზის ფოტოსურათი, რომელიც დიდ სამამულო ომში 1941 წელს მტერთან ბრძოლაში დაეცა.

მალე სუფრა გაშალეს აივანზე.


— დაჯექ, შვილო, ვივანშმოთ და დაგიძინოთ. ხვალ ბევრი სამუშაო გვაქვს! — მიმართა ასმათმა შეენაწნავებიან გოგონას.

სუფრას მოუჯდა დავითიც.

— როგორაა საქმე? — ერთდროულად ჰკითხა დედა-შვილმა დავითს.

დავითმა მათ გააცნო კოლმეურნეობის ფერმის ახალი შენობის გეგმა.

როცა გათენდა, მათი ეზო-ბაღიდან მწვანე ხეივანი ისევ მისრიალებდა პლანტაციებისაკენ ჩალისფერი „პობედა“.





ნაზიმ ჰიქმატი

ჩვენმა სიმღერებმა  
ინავარდონ ლალად,  
ქუჩებს, სახლებს, ფანჯრებს  
შღერით შეხვდნენ მუდამ!  
აი, სიმღერების  
ამოზვირთდა ტალღა,  
ვით ღამის დაფდაფი,  
მძლავრად ახმაურდა.

სიმღერების მხნე ბეგრები  
სწვდება გულის სიღრმეს,  
სდარაჯობენ სიმღერები  
ბავშვთა ზღაპარულ სიზმრებს.  
დაეკიდეთ, სიმღერებო, კართა სახელურებს, —  
გაუძლით

სისხლის დენას,  
ტკივილს,  
მწვავე წყლულებს!  
სახელურებს არ მოეშვათ,  
სანამ კარებს არ გახსნან!  
შენ, პოეტო, სხვა ლექსი თქვი,  
ნუ იმღერებ ლექს სევდიანს.  
გლოვის დროს  
ან ზეიმის დროს  
ჩვენი სიმღერებო  
ჩვენი მეგობრების  
გულებს შეუერთდნენ,  
დე, ისმოდეს სიმღერათა  
გვრგვინვის მძლავრი ხმები!  
გულს ახარებს სიმღერები,  
გულს სიმღერა უნდა,  
სიმღერებო, ავამღერეთ,  
ჩვენთან დარჩით მუდამ!

\* \* \*

ჩვენ არა გვსურს სევდის ხმა და ცრემლის თქეში,  
იბოხოქრონ სიმღერებმა,  
როგორც ქარმა უღრან ტყეში!

ყოველ დღის  
სიმღერები მძლე ხელებით  
მოეფერონ გულებს მძლავრი გახელებით.  
დე, ეს ჩვენი სიმღერები  
ჯარისკაცთა ჩადგნენ მწყობრში,  
მტერს ეკვეთონ,  
მძიმე ბრძოლას  
შეხვდნენ უძლევ დროშით...  
და თუ ჩვენი სიმღერების  
ტალღა ტყვიაშ  
გაარღვია,  
წინ იარეთ, სიმღერებო!  
რას დაგაკლებთ ცხელი ტყვია!  
ჩვენმა სიმღერებმა  
ინავარდონ ლალად,  
ქუჩებს, სახლებს, ფანჯრებს  
შღერით შეხვდნენ მუდამ!  
აი, სიმღერების  
ამოზვირთდა ტალღა,  
ვით ღამის დაფდაფი,  
მძლავრად ახმაურდა!

\* \* \*

არა და არა!  
შინ დარჩენა არ შეუძლიათ,  
სიმღერებს ჩვენსას,  
მარტოობა კმარა.  
მოვშორდეთ სახლებს,  
კვენსას!  
დავიფიწოთ მწუხრი,  
მოვშორდეთ წუხილს,  
შევეგებოთ ბრძოლას,  
ქექა-ქუხილს!  
ჩვენმა სიმღერებმა  
ჩვენთან ერთად  
გაქრან ტალღა  
მკვეთრად!

თარგმანი ვასილ ლავფრავსვილისა



# გაშლილი აფრების ქვეშ

ნ ა რ კ ვ ე ვ ი

ლ. ბერიას სახელობის ბათუმის ჰიონერთა პარკის ახალგაზრდა აფროსნები ჯერ კიდევ გასული წლიდან ოცნებობდნენ ზღვით შორეულ ლაშქრობაზე. პარკის ტბაზე ყოველ კვირას იმართებოდა ნორჩ აფროსანთა სასწავლო მეცადინეობა. მომავალი მეზღვაურები გატაცებით ემზადებოდნენ შორეულ ლაშქრობისათვის.

და აი, დადგა დიდი ხნის ნანატრი დღეც. შავი ზღვის სანაპიროზე გაშლილი აფრების ქვეშ დგას სალაშქროდ გამზადებული ტბუკ მეზღვაურთა ეკიპაჟი. აქ თავი მოუყრიათ მრავალრიცხოვან გამცილებლებს — პარტიული, კომკავშირული და ფიზკულტურული ორგანიზაციების წარმომადგენლებს. მოლაშქრეთა მშობლებს, ამხანაგებს.

ტბუკმა მეზღვაურებმა: გივი კალანდაძემ, თენგიზ გელზარიშვილმა, ბორის თალაკვაძემ, გიორგი ვასაძემ და სხვებმა, ერთხელ კიდევ შეამოწმეს ხომალდების მზადყოფნა და 17 ივლისს, დღის 2 საათზე, სტარტი მიეცა ფიზკულტურელის საკავშირო დღისადმი მიძღვნილ ლაშქრობას მარშრუტით ბათუმი — სოხუმი — ბათუმი.

ზღვაში პირველი შეცურდა საფლაგმანო აფრებიანი ხომალდი „რუსთაველი“. მას მიჰყვა „ვოჟატი“, „ისრაფელ ჯინჭარაძე“, „ოქტომბრელი“, „კომკავშირელი“ და „ზოია კოსმოდემიანსკაია“. საფლაგმანო ხომალდზე სახელდახელოდ მოწყობილი რადიოსადგურიდან მოისმის სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნის დიდებული ჰანგები...

თანამგზავრი ქარი აადვილებს მანევრირებას და აჩქარებს სვლას. შორს დარჩა მწვანე კონცხი, ჩაქვი, ქობულეთი. გეზი აღებულია ფოთის ნავსადგურისაკენ.

ჩამავალმა მზემ მოაოქროვა შავი ზღვის ჰორიზონტი, ქარი კი მიაფრიალებს აფრებიან ხომალდებს.

დადამდა. ქარმა იკლო და მიმართულება შეიცვალა. მომავალ მეზღვაურებს მოუხდათ აფრებითა და საჭით ხშირი მანევრირება, ძნელი პირობების მერყედავად, ღამის თერთმეტ საათზე აფროსანთა ქარავანი მი-



ადგა მოლაშქრეთა სასიგნალო მამზალებით გაბრწყინებულ ნავმისადგომს.

ლაშქრობის მონაწილეთა გეგმაში გათვალისწინებული იყო მშობლიური მხარის შესწავლა და აი, მეორე დღეს თიბქმის ხუთ საათზე მეტი დრო დასჭირდა ქალაქ ფოთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმისა და კომუნიზმის დიადი მშენებლობისადმი მიძღვნილი გამოფენის დათვალიერებას.

დღის ოთხი საათია. გაშლილ თეთრ აფრებს გეზი აღებული აქვთ სოხუმისაკენ. უკან დარჩა თხუთმეტი მილი. გამოჩნდა ანაკლია. აქ უხვწყლიანი მდინარე ენგური ერთვის ზღვას და მის დიდ სივრცეზე ახდენს გავლენას.

ხომალდები შეცურდა ენგურში...

ნაპირზეა მთელი სალაშქრო მოწყობილობა, კარები გაიშალა, სინათლე აინთო და მსუბუქი ვახშმის შემდეგ ნორჩ აფროსანთა ბანაკში ტკბილი ძილი გაემედა.

გათენდა, ღამის განმავლობაში მდინარის შესართავს კალაპოტი შეუცვლია. საჭირო შეიქნა ზღვაში ახალი გასასვლელის აღმოჩენა. ადგილმდებარეობის გულდასმით შესწავლის შემდეგ აფრებიანი ხომალდები კვლავ შეცურდა ზღვაში.

ოთხი საათის შემდეგ დასავლეთის ქარი თანდათან გაძლიერდა. ღელვა სამ ბაღს აღმატა. ტალღები ნაფოტებივით ათამაშებს ხომალდებს. ისინი გვერდზე იხრებიან, მაგრამ მწყობრ სვლას არ არღვევენ. ეკიპაჟი მამაცობასა და სიმტკიცეს იჩენს, საშუალებას არ აძლევს ტალღებს წყლით ააფსოს ხომალდები.

ოჩამჩირის რაიონული ცენტრის პარკში საფლავმანო ხომალდი „რუსთაველი“ პირველი მიაღწა ნაპირს. მას დანარჩენებშიც მალე მიჰყვნენ. 15 წუთის შემდეგ აფროსნები ფრონტიტო მოეწყვნენ შავი ზღვის სანაპიროზე. იქვე მინდორში კარგები გაიშალა და ანძაზე ამაყად აფრიალდა წითელი დროშა.

სალამოს მოლაშქრეთა ბანაკს ქვანახშირის მრეწველობის პროფკავშირის რესპუბლიკური ბანაკის პიონერთა დელეგაცია ესტუმრა.

— თქვენს პატივსაცემად კოცონი დავანთეთ, გათხოვთ გვესტუმროთ და გვიამბოთ თქვენი ლაშქრობის შესახებ, — განაცხადა დელეგაციის მეთაურმა.

დადამდა. სანაპირო პიონერული კოცონის აღმა გააცისკროვნა. სამასამდე პიონერ-მოსწავლის წინაშე წარსდგნენ მეზღვაურის ფორმაში ჩაცმული ბათუმელ პიონერ-მოსწავლეთა წარმომადგენლები — ლაშქრობის მამაცი მონაწილენი. მათ უამბეს ქვანახშირის მრეწველობის პროფკავშირის რესპუბლიკური ბანაკის პიონერებს თავიანთი მიღწევებისა და ზღვის სტიქიასთან ბრძოლის პირველ სიძნელეებზე.

მოლაშქრებმა დილით გზა განაგრძეს. გამოჩნდა კოდორი. ღელვა თანდათან გაძლიერდა. იგი ოთხ ბაღს აღმატებოდა. სამ საათს გაგრძელდა სტიქიასთან ბრძოლა, მაგრამ მოლაშქრებებს გეზი არ შეუცვლიათ.

სალამოს ზღვის ტალღები თანდათან დაცხრა.

მალე გამოჩნდა შავი ზღვის სანაპიროს უმშვენიერეს კურორტ-ქალაქ სოხუმის შესანიშნავი პანორამა.

სოხუმელ პიონერებს გაუშლიათ აფრები, დამსხდარან ბაიდარებზე და ყვავილებით ეგებებიან მამაც სტუმრებს. ჰაერში დიდხანს ელვარებს სასიგნალო მამხალები, რომელნიც საზეიმო ელფერს აძლევენ ზღვის მშვენიერ სანაპიროს.

21 ივლისს ნორჩი აფროსნები ესტუმრნენ ახალ ათონს. ახალი ათონის პიონერთა რესპუბლიკურ ბანაკში მათ გულთბილი, საზეიმო შეხვედრა მოუწყვეს. პიონერებმა სტუმრები სადილზე მიიწვიეს და გამოთხოვებისას თაი-

გულები გადასცეს აფრებიანი ხომალდების მესაჭეებს.

22 ივლისს ნორჩი აფროსნები გულდასმით გაეცვენ სოხუმს, დაათვალიერეს კეთილმოწყობილი სოხუმის მთა და მრავალი სამასსოვრო შთაბეჭდილებით მონიბლულნი დაემშვიდობნენ კურორტ-ქალაქს.

აფროსანთა ქარავანი ნელა სცილდება ნავსადგურს.

ნაშუადღევს დასავლეთის ქარი ამოვარდა. ტალღები აიქორჩა, და მთელი ჰორიზონტი რამდენიმე წუთის განმავლობაში შავად მოიბურთა. ღელვამ იმატა. ცურვა გაძნელდა. ეკიპაჟი ხუთბალიანი ლეღვის ზოლში მოხვდა. ვეებერთელა ტალღები თეთრ აფრებს, აუჩინარებს, მაგრამ ლაშქრობის არც ერთ მონაწილეს მღელვარება არ ემჩნევა.

და აი გამოჩნდა სკურჩა. ეკიპაჟი ნაპირზე მამაცურად გადავიდა. ღელვის პირობებში ნაპირზე ასეთი გადასვლა მხოლოდ საზღვაოსნო საქმის ოსტატებს შეუძლიათ. სკურჩის ცის ქვეშ სახელდახელო თეთრ კარვებში დაილია წვიმიანი ღამე.

გათენდა პირქუში დილა. უზარმაზარი ტალღები ეხეთქება ნაპირს. საფხულის ყუყუნა წვიმა კვლავ ცრის. ლაშქრობის გაგრძელება შეუძლებელია. დროს უნაყოფოდ არავინ კარგავს. ლაშქრობის მონაწილეები ეცნობიან სკურჩის თევზის მრეწველობის საწარმოს. შორს ცურვის კაპიტანმა ნ. პოტიოხინმა ეკიპაჟი შეკრიბა და ესაუბრა თემაზე „შავი ზღვის მეზღვაურთა გმირობა დიდ სამამულო ომში“.

24 ივლისს, გულდასმით მომზადების შემდეგ, ბანაკი აიშალა. უკან დარჩა სკურჩა. ბობოქარი ტალღები არ ცხრება. ეკიპაჟს მეტად ძნელ პირობებში უხდება სვლა. კვლავ ხუთბალიანი ლეღვის ზოლი. აფრები ტალღებამდე იხრება, და, აი, დახრილი „კომკავშირელი“ წყლით აივსო. მამაცი მოლაშქრეები წყლით დაუფარავ ხომალდის ნაწილზე მოექცნენ. პიონერი სარქის ოვანესიანი, საქართველოს ჩემპიონი აფროსნულ სპორტში მოზარდთა შორის, მამაცურად ებრძვის ზღვის სტიქიას. მოლაშქრეებმა სწრაფად ამოაქციეს წყალი ხომალდიდან, მას პირვანდელი მდგომარეობა დაუბრუნეს და უვნებლად განაგრძეს გზა. თორმეტის ნახევარზე ლაშქრობის მონაწილენი ფოთის წყნარ ნავსადგურში შეცურდნენ და მხოლოდ მეორე დღის პირველ საათზე აიღეს გეზი ბათუმისაკენ. ოქროსფრად ციმციმებს ზღვაში საბანაოდ გამზადებული მნათობი.

მოლაშქრეებმა ღამე ჩაქეში  
გაათიეს.


დილით აფროსნები  
სტალინური პრემიის ლაუ-  
რეტს ქსენია ბახტაძეს შე-  
ხვდნენ. დაათვალიერეს ჩაის  
საცდელი მეურნეობა.

სამ საათზე ეკიპაჟმა მი-  
მართულება აიღო შშობლი-  
ური ქალაქისაკენ. ნაშუა-  
დღევს ქარი დაწყნარდა და  
სვლა, კვლავ გაძნელდა.  
ოთხ საათზე მეტი დაჭირდა  
ფინიშის ადგილთან მისვ-  
ლას.

26 ივლისს, 7 საათზე და  
15 წუთზე, ეკიპაჟი თავის  
საყვარელ ადგილს — ბათუ-  
მის პიონერთა პარკს—მიუ-  
ახლოვდა და ნაპირზე გადა-  
ვიდა.

ღამაზად ჩამწკრივებულ მამაც  
მოლაშქრეებს ქალაქ ბათუმის პიონერ-მოს-  
წველებმა თაიგულები მიართვეს.

ლაშქრობის ალაში დაეშვა. მამაც აფრო-  
სანთა ლაშქრობა დასრულდა. ათი დღე და-



ჭირდა ამ დაუვიწყარ მოგზაურობას შავი  
ზღვის სანაპიროს გასწვრივ.

ლ. ბერიას სახელობის ბათუმის პიონერთა  
პარკის მამაცმა აფროსნებმა გაიმარჯვეს  
ზღვის-სტიქიასთან ბრძოლაში.

პ. სახიძე



## მოფრინდნენ ჩემი მერცხლები

ფოთლებს გადაჰკრა სიყვითლემ,  
ბაღში ნაყოფი დაშაქრდა,  
ზოგჯერ სიო ჰქრის, ზოგჯერ კი  
ფრთა გაუშლია აშარ ქარს.  
მთებს ნისლი შემოეჩვია,  
გრილი დღეები დამდგარა,  
მობრძანდა შემოდგომათ,  
ქვეყნის ბარაქამ გვახარა.  
და მოემზადნენ მერცხლები  
გადასაფრენად სხვა მხარეს;  
ო, მოსვლა შემოდგომისა  
მათ გულებს როდი ახარებს.

გაგვეყრებიან უღურტულით  
მოგზაურები გულადნი,  
წავლენ და ველარ ვიხილავთ  
მომავალ გაზაფხულამდი.  
ჰეი მერცხლებო, მერცხლებო,  
შემკრთალნო შემოდგომითა,  
მე ამ დროს გულით ვნატრობდი,  
ენატრობდი — კიდევ მოვიდა.  
გალაღებულნი, ჯანმრთელნი,  
წიგნებით, თვალთა ციმციმით,  
მოფრინდნენ ჩემი მერცხლები  
სკოლა აავსეს ჟიჟივით.

მიხეილ სანიძე

# დედის კრება



თ. ლომინაძე

მხატვარი ა. ბანძელაძე

## მ ო თ ხ რ ო ბ ა

ორი წლის იყო ოტია, მამა რომ დაეღუბა სამამულო ომში.

ოტიას თავზე დასტრიალებდა ახალგაზრდა დედა თამარი. დედას არ უნდოდა უმამობა ეგრძნობინებინა თავის ერთსათვის და ვაჟკაცივით მუშაობდა ოჯახსა და კოლმეურნეობაში. შეუბოვარი შრომის წყალობით ოჯახი მუდამ სავსე ჰქონდა დოვლათით.

მკვირცხლი ბავშვი იყო ოტია, დედასავით ცისფერი თვალები ჰქონდა. ნუკრივით მოღერილი ყელი. ლამაზად მოყვანილ თავს ოქროსფერი ხუჭუჭი თმა უმწვევებდა.

ყველა ეს იყვარებოდა ბიჭუნას.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე ძია მიტო, რომელიც ოტიას მამის დიდი მეგობარი იყო, ისე როგორ ინახვებდა ოტიას, რაიმე საჩუქარი რომ არ მიეტანა ბავშვისათვის.

— აი თოფი, აი ხმალი, ნახე, რა კარგია! — უთხრა ერთ დღეს ძია მიტომ და ოტიას მხარზე თოფი გადაჰკიდა, წელზე ხის ხმალი ჩამოჰკიდა, რომელიც ისე ოსტატურად იყო გამოთლილი, ნამდვილსა ჰგავდა.

— ბედნიერი დროის შვილი ხარ, ბიძიო, ნეტავ მამაშენი გეყურებდეს! კარგი ვაჟკაცი იყო მამაშენი.

მიტოს თითქოს სიტყვა შეუწყდაო, შეჩერდა, ჩაფიქრდა.

— სწავლით უნდა ასახელო შენი მამის

სახელი, — უთხრა ბოლოს ძია მიტომ და ახლან თამარს მიუბრუნდა:

— კარგი ბიჭი გეზრდება, თამარ.

თამარმა კმაყოფილებით მხრები აიჩეჩა.

— ვნახოთ, მაგის სიკარგე მაშინ გამოჩნდება, თუ კარგად ისწავლის. წელს სკოლაში უნდა მივაბარო.

ამ დროს ოტიამ ძია მიტოს ნაჩუქარი თოფი მხრიდან მოიხსნა. ვითომ „მტერი“ დაინახა, მიეპარა, ცალ მუხლზე წამოიჩოქა და „მტერს“ თოფი დაუმოხსნა.

— ჭახ, ჭახ, ჭახ! — გაისმა უცებ ბიჭუნას ხმა.

შემდეგ ბავშვი წამოხტა, ხმალი მოიხსნა, ხელში შემართა და წინ გაექანა, თითქოს „მტერზე“ იერიშით მიდისო.

მიტო და თამარი ბავშვის მოქმედებას რომ უტყეპდნენ, სიამოვნებით იცნოდნენ.

— მართლაც ვაჟკაცი გეზრდება, თამარ, — დარწმუნებით თქვა ახლა ძია მიტომ, — აწი არაფერი გიჭირს. დღეს შენი რგოლის ნამუშევარი ყანა ვნახე და სიხარულით თვალები გამიბრწყინდა. ისეთი ტაროები მოუსხამს სიმინდს, რომ გაოცებულნი დავრჩი ამ ხნის კაცი. სიმინდის ძირი არ არის, რომ მკლავის სიმსხო ორი ტარო არ ესხას.

თამარი სიამოვნებისაგან იღიმებოდა და ძია მიტოს მადლობას უხდიდა ომისაგან დაზარალებული ოჯახისადმი ყურადღებისათვის.

\*\*\*

მიდიარო, გულუხვი შემოდგომა დადგა. ბროლივით თეთრი და ოქროსავით ყვითელი სიმინდის ტაროები სიმსუქნისაგან ფუჩჩიში ველარ ეტეოდნენ და მომხიბლავად გამოიყურებოდნენ ტანზე შემომსკდარ აბრეშუმით მოშრიალე ფუჩჩიდან. ვაზებზე ჩამოხუნძლილი ყურძნის მტევნები ქარვასავით, ზოგან გიშერივით ელავდნენ და მაცდურად იწვევდნენ თავისკენ აღამიანებს.

ბაღებში ნაირნაირი ხილი, მზისგან წითლად და ყვითლად შეფერადებული, თითქოს ემუდარებოდა გამვლელ-გამომვლელთ — მოდი და მომწყვიტეო.

სიამის მომგვრელი შემოდგომის სუნი ტრიალებდა ჰაერში.

სასწავლო წლის პირველი ზარღ დაირეკა. ფერად-ფერად ტანსაცმელში გამოწყობილი გოგო-ბიჭები ყრიაშულით შეცქერიალდნენ კლასებში.

ახალმიღებულთა შორის იყო ოტია. იგი დედას ებლაუტებოდა, ხელს არ უშვებდა.

მასწავლებელი ხუტუტა თავზე ხელს უსვამდა და ეალერსებოდა ოტიას, აცნობდა ახალ ამხანაგებს.

— არა, აქ არ მინდა, არ მინდა სკოლა! მეომარი უნდა ვიყო!—ლულულუღებდა ოტია. თან დედას ეკვროდა.

— ბიჭო! — დაუყვავა მასწავლებელმა, რომელიც ძლივს იკავებდა სიცილს ამ უცნაური ბიჭუნას სიტყვების გამო. — მეომარი ნასწავლი უნდა იყოს. მან უნდა იცოდეს დედამიწის ყველა ნაწილი—სად რომელი ქვეყანაა, სად რა მდინარეა და მთა, სად რომელი ქალაქი მდებარეობს, მეომარმა უნდა იცოდეს ანგარიში და სხვა.

ოტია მაინც არ იშლიდა თავისას და დედას ხელს არ უშვებდა.

ოტიას საქციელით შეწუხებულ დედას მასწავლებელმა ნება დართო კლასში დარჩენილიყო, რომ ბიჭუნა თანდათან შეჩვეოდა კლასსა და ბავშვებს.

— აბა, ბავშვებო, მითხარით, ვინ რა ხიცით!—შეეკითხა მასწავლებელი ეოსწავლებებს.

ვინა თქვა ლექსი ვიცით, ვინ—ზღაპრებით და ვინ—მოთხრობათ.

— აბა, შენ რა იცი, გოგონა?—აღერსით მიუბრუნდა მასწავლებელი პატარა ნინა ფერაძეს.

გოგონა წამოდგა.

— მე, მე,—დაბნევით უბაჟუხა ნინამ,—ვიცი ლექსი. — არ ალოდინა მასწავლებელი და პირდაპირ დაიწყო:

ყაყაჩოსა სიწითლითა  
ყანა დაუმშვენებია,  
ნინიკოს კარგი სწავლითა  
დედა გაუხარებია.

— ყოჩაღ, გოგონა! ასე უნდა, დედა კარგი სწავლით უნდა გაახარო. ახლა დაჯექი, — უთხრა მასწავლებელმა.

გაწითლებული გოგონა დაჯდა და კმაყოფილებით გადახედა ამხანაგებს.

— გესმის, ბიჭო?—მიუბრუნდა მასწავლებელი ოტიას. — შენც უნდა გაახარო დედა სწავლით!

ყველა ბავშვმა ოტიას შეხედა.

ოტიას შერცხვა ბავშვების და დედას ჩუმად უთხრა:—წადი, მარტო მოვიცდიო.

ოტია ფეკრობდა:—თუ იმ გოგოს უნდა დედა სწავლით გაახაროს, განა მე ვერ გავა-

ხარებ? მასწავლებელმა ხომ თქვა, მეომარი ნასწავლი უნდა იყოსო!

შვილის გადაწყვეტილებით ნასიამოვნებოდედა მასწავლებელმა კარებამდე მივიდა და გზადაგზა თამარი თავის ფეკრებში ოტიას ესაუბრებოდა: — ისწავლე, შვილო, ისწავლე, ცოდნით მეც გამახარებ და ქვეყანასაც.

ოტიას შეუყვარდა სკოლაში სიარული, არ აკვიანებდა, მაგრამ გაკვეთილებს გულს ვერ უღებდა, — ბურთის თამაში და ცელქობა იზიდავდა.

ერთ დღეს, დასვენების დროს, ოტიამ დაინახა, რომ ორი მოზრდილი ბიჭი ერთმანეთს ეკრივებოდა. ოტიას მოეწონა კრივი. — ეს რა კარგი რამ არისო,—გაიფიქრა.

იმ დღიდან ოტია ხშირად იწვევდა ამხანაგებს კრივში. ბევრს არ უნდოდა კრივი, მაგრამ ოტია არ ეშვებოდა მათ. ხშირად მისულა რომელიმე ბიჭუნა მასწავლებელთან ატირებული და უთქვამს მისთვის: — ოტიამ მუშტით მცემათ.

მასწავლებელი მუდამ არიგებდა ოტიას:—ცელქობა არ გარგებს, ისწავლე, თორემ ბოლოს იხანებო. ოტია თავს ჩაღუნავდა, ჩაილულულუღებდა არ ვიცელებო, მაგრამ ორი სამი, დღის შემდეგ კვლავ თავისას განაგრძობდა.

არც დედის დარიგებამ გაჭრა ოტიაზე. შინ რომ მოკრივე არავინ ჰყავდა, ბიჭი ბალიშებს სცემდა მუშტებს.

ერთ საღამოს ცელქობისაგან დაღლილი ოტია გაუხდელად მიწოლილიყო ტახტზე. დედა ხან დაყვავებოთ, ხან ტკბილი საყვედურით ეუბნებოდა:



ორი მოზრდილი ბიჭი ერთმანეთს ეკრივებოდა. ოტიას მოეწონა კრივი

— შვილო, ჩვენს ქვეყანაში უსწავლელი არავინ არ რჩება, არ გრცხვენია, შენ ერთი რომ გამოერევი ამ უხარმაზარ ქვეყანაში უსწავლელი?!

— ვინ გითხრა, დედიკო, რომ არ ვისწავლო, ცოტა დამაცადე, განა მართლა არ მინდა სწავლა?!

კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა ოტიას, რომ ამ დროს ძია მიტოს ხმა მოისმა. — მობრძანდითო, — გასძახა თამარმა, და მიტომაც კარი შემოაღო. ხელში თეთრი ყვინჩილა ეჭირა.

— სალამო მშვიდობისა, თამარ! — მიესალმა მიტო. — როგორ მოგიწყენია! სად არის ოტია?

— ნუ მკითხავ, მიტო. დადლილ-დაქანცული, აი, იქ არის მიწოლილი. მთელი დღე დააღამა ისე, ერთხელაც არ ჩაუხედავს წიგნში.

ოტია წამოდგა, ძია მიტოს დარცხვენით გადახედა, თან თვალს არ ამორებდა ყვითელნისკარტიან, პატარადეუბიან, ოქროსფერბიბილოიან ყვინჩილას.

მიტო წარბშეკრული დააცქერდა ოტიას.

— მეგონა ოტია კარგად სწავლობდა და ეს ყვინჩილა მოვუყვანე საჩუქრად, — საყვედურით თქვა ძია მიტომ. — რახან ცელქია და არ სწავლობს, ამ ყვინჩილას უკანვე წაიყვან.

— აბა, ოტია რა ღირსია ამ საჩუქრის! — ამოიოხრა დედამ.

— რომ არ არის, ამიტომ ყვინჩილას უკანვე წაიყვან და დავკლავ.

ოტია შეწუხდა, აიმღვრა. წარმოიდგინა თეთრი ყვინჩილა თავწაჭრილი, აფართხალებული. ოტიას თითქოს მოესმა ყვინჩილასაგან საყვედურთ:

— რად დამღუბე, ოტია? რატომ არ დამიფარე? რად არ სწავლობ გაკვეთილებს? შენ რომ კარგად სწავლობდე, მე ხომ არ დამკლავდნენ!

— შენი ჭირიმე, ძია, ოღონდ ამ ყვინჩილას ნუ დაკლავ და აი ნახავთ, როგორ კარგად ვისწავლი. ხუთოსანი გავხდები, — თქვა შეწუხებულმა ოტიამ.

ძია მიტოს გაეცინა.

— არ გჯერა, ძია? აი, შენ და დედას პირობას გაძღვეთ, რომ სულ კარგად ვისწავლი. არ გჯერათ? აბა დავიფიცებ. ვფიცავ მამის სახელს, რომ ჩემი სიტყვა შევასრულო.

ოტია ხან დედას და ხან ძია მიტოს თვალეში შესცქეროდა, თითქოს მათი თვალე-



როდესაც ოტია სკოლიდან ბრუნდებოდა, ქუცო, თეთრო და ბასარა ჭიშკართან ხვდებოდნენ

ბიდან სურდა ამოეკითხა, სჯერათ თუ არა, რასაც ვამბობო.

შვილის საქცეველმა დედას ღიმილით სახე გაუბრწყინა და ძია მიტოს გადახედა.

— ახლა შენ ისეთი ფიცი წარმოსთქვი, რომ ამ ფიცის შემდეგ მე შენი ნათქვამი მჯერა, დედასაც სჯერა. რას იტყვი, თამარ?!

— რა თქმა უნდა, მჯერა, ეს უბრალო ფიცი არ არის, ოტიამ კარგად იცის, ვინ დაიფიცა.

— ასეთი დაპირებისათვის აი შენ თეთრი ყვინჩილა, — უთხრა ძია მიტომ ოტიას და ალერსით თავზე ხელი გადაუსვა.

ოტიამ ძიას თეთრი ყვინჩილა ჩამოართვა, გულში ჩაიკრა და ყვითელი ნისკარტი დაუკოცნა.

ყვინჩილამ, თითქოს იგრძნო ოტიას პატარა გულის ცემის მიზეზიო, მაღლრბის ნიშნად ბავშვს ლოყაზე ნისკარტი მოუცაცუნა.

მეორე დღეს ოტიამ თავის ქცევით და კარგი პასუხით მასწავლებელი გააოცა.

— ყოჩაღ, ოტია, აი, ავრე უნდა! თუ ასე განაგრძობ მეცადინეობას, ასახელებ დედის და სკოლას.

ოტიას წინაღობის ფიცმა გაურბინა თავში და მასწავლებელს მტკიცედ უთხრა:

— დიახ, პატივცემულო მასწავლებელო, ვისწავლი, კარგად ვისწავლი.—პატარა ოტია მართლაც ისე დაეწაფა სწავლას, რომ მალე წარჩინებული მოსწავლე შეიქნა. მას აიყვარულით ეჭირა წიგნი ხელში, კითხულობდა, ჩხირებზე გატაცებით ანგარიშობდა. როდესაც მოსწყინდებოდა, თავის თეთრ ყვინჩილას, რომელსაც „თეთრო“ დაარქვა, ეალერსებოდა. ხელისგულზე საკენკს დაიყრიდა და თეთროც სიამოვნებით აკენკავდა.

როდესაც ძია მიტომ გაიგო ოტია წარჩინებით სწავლობსო, კიდევ მოუყვანა საჩუქრად პატარა გოჭი—ქუცო და ლეკვი—ბასარა.

ოტია მეტად გაახარა ახალმა საჩუქრებმა. თეთროს ქუცო და ბასარა მიემატა. ორივე მალე შეიჩვია ოტიამ.

როდესაც ოტია სკოლიდან ბრუნდებოდა, ქუცო, თეთრო და ბასარა ჭიშკართან ხვდებოდნენ, თითქოს იცოდნენ ოტიას დაბრუნების დრო. ოტიაც ხან ერთს მიეალერსებოდა, ხან მეორეს და ხან მესამეს.

• • •

გავიდა წლები. ახლა ოტია მეშვიდეკლასელი ხუთოსანი მოსწავლეა. ის მტკიცედ იცავს თავის ფიცს. გადაწყვეტილი აქვს ოქროს მედალზე დაამთავროს საშუალო სასწავლებელი, შემდეგ კი ინსტიტუტში განაგრძოს სწავლა და მშენებელი ინჟინერი გახდეს.

ოტიას დედა თამარი შვილის ბეჯითობით ფრთაშესხმულია. მკერდს ლენინის ორდენი უმშვენებს. უხვი მოსავლის მიღებისათვის დაიმსახურა მთავრობისაგან ეს მაღალი ჯილდო.



## ხოფას ნავსადგურში



ხოფა პატარა, ლამაზი დაბაა. იგი სამი მხრიდან გარშემორტყმულია მთების ჯაჭვით, მეოთხე მხრით ეკვრის შავი ზღვა. მოწმენდილ ამინდში მთებიდან კარგად ჩანს ბათუმი. მაგრამ ხოფას ხელისუფალთათვის ბათუმი უფრო შორსაა, ვიდრე ნიუ-იორკი. სახელმწიფო საზღვარი აშორებს ქართველებით დასახლებულ ხოფას ბათუმისაგან. საზღვრის იქით თურქეთია, სადაც ამერიკელი აგრესორები ბატონობენ. ამერიკელებს ყოველგვარი დოვლათი გააქვთ თურქეთიდან, სამაგიეროდ თურქეთში შეაქვთ ომისათვის საჭირო ყოველგვარი საქურველი. ამის გამო ხალხი შიმშილობს, ხალხს სიღარიბე ანადგურებს.

შემოდგომაა. ხოფას პატარა ნავსადგური სავსეა მგზავრებით. ოთხასი კაცი ელოდება გემს. ყველა შეწუხებულია, ყველა შიმშილსა და სიღარიბეზე ლაპარაკობს.

აგერ გაისმის ზეფწა-მულარა:

— ბატონო! მოკალი, ოღონდ ნუ დამტოვებ.

— ბატონო! გემზე შემიშვი როგორმე და შემდეგ ჯანდაბას, რაც მომივა. მშიერები ვართ, მშიერები. აქ დარჩენა ერთი დღითაც არ შემიძლია.—და წვერგაუპარსავ, წელში მოხრილ გლებს ჩაცვივნილი თვალებიდან ცრემლი გადმოდინდა.

სად მიდიან ეს მშიერი, ტანსაცმელშემოხეული ადამიანები? მიდიან სამუშაოს საძებნელად ზონგულდაქსა თუ სტამბულში.

ოთხას კაცს უნდა წასვლა, ხოფას ნავსადგურს კი ორმოცი კაცის გამგზავრების უფლება აქვს.

— ოჯახი დიდი გყავს?—ეკითხება ერთი ახალგაზრდა იმ წვერგაუპარსავ, წელში მოხრილ გლებს.

— ცხრა სულის მარჩენალი ვარ. სტამბულს მივდივარ, იქნებ სამუშაო ვიშოვო და ცოტა გროში მივაწვდინო ოჯახს.

— იშოვი კი სამუშაოს?

გლები დალონდა. შემდეგ მისი საუბრიდან გამოიჩქრა, რომ მას ოჯახისათვის დაუტოვებია ორი ვედრო სიმინდი, ამდენივე ქერი და ერთი ვედრო კარტოფილი.

— რა ვქნა! გამოიშოვავენ, სანამ მე სამუშაოს მოვძებნი და გროსს ვიშოვნი!—ამოიხირა მან.

გემი ნავსადგურში შემოვიდა. ატყდა წივილ-კივილი. ყველა გემისაკენ მიიღტვოდა. მაგრამ მხოლოდ ორმოცი კაცს შეეძლო გამგზავრება...

ცოტა ხნის შემდეგ, როცა გემმა ნავსადგური დატოვა, შეწუხებული დარჩენილი მგზავრები გამოეფინენ ხოფას ქუჩებში. ცხრა სულის მარჩენალი საცოდავი გლებიც მათ შორის მილასლასებდა.

რ. ბარათაილი



# ოსტატი გოგოა

ვინ არ იცის ჩენი სკოლა,  
სახელოსნო სკოლა ჩენი!  
ფართო ეზო, ხეივანი  
დიდ შენობას როგორ შვენის!

ვინ არ იცნობს ჩენს აღმზრ-  
დელს და  
მასწავლებელს ოსტატ გოლას!  
ცნობილია და ამიტომ  
ჩააბარეს კიდევ სკოლა!

უამრავი შეგირდი ჰყავს,  
ოსტატია გამოცდილი;  
ზელობა რომ შეისწავლოს,  
აბა მასთან ვინ არ ივლის?!

ნეტავი ჩენს სადურგლოში  
მოგიყვანათ, შეგახედათ!  
რა ხელსაწყო იქ არ არის:  
შალაშინი, ცული, ხვედა,  
ბურღი, ეჩო და ხელეჩო,  
საჭრეთელი და სატეხი,  
ჩაქუჩი და ქლიბი, ხვეწი,  
ხუშტარა და რანდა, ხერხი!

ხელსაწყოც გვაქვს, გარჯაც გვი-  
ყვარს,  
თვალიც გვიჭრის, ხელიც გვიჭრის,  
და ამიტომ ხის ავეჯის

გაკეთება ჩვენ არ გვიჭირს!  
მოსწონს ყველას ჩენს სკოლაში  
ნაკეთები ავეჯები:  
ყოველგვარი განჯინები,  
ყოველგვარი კარადები,  
სავარძელი, ეტაჯერი,  
სკამები და მაგიდები!

ყველაფერი გვეხერხება,  
ყველაფერი გვემარჯვება;  
ვიცი: ვისაც საქმე უყვარს,  
მისი არის გამარჯვება!

და გვასწავლის გოლა ასე:  
„დაიხსომეთ ჩემი რჩევა:  
ლურსმანიც რომ დააქედოთ,  
იმასაც კი უნდა ჩვევა!“

დაეუფლეთ ხელსაწყოებს,  
მოუმარჯვეთ კარგად ფრცარს;  
ზელობას ის შეისწავლის,  
ვინც ხელობის წესებს იცავს!“

ჩვენც ბეჯითად ვმეცადინობთ,  
რომ ხელობას დავეუფლოთ  
და პირნათლად შეგუსრულოთ  
დავალება ოსტატს, უფროსს.

ილია სიხარულიძე







ილიაზა ყიფიანი

ზ ლ ა კ ა რ ი

მატყარს კ. მახარაძე

შავი ზღვის სამხრეთით, ქალაქ ტრაპეზუნდის მახლობლად ერთი ღარიბი ცოლ-ქმარი ცხოვრობდა. ენით აუწერელი იყო მათი სიღატაკე. დილიდან საღამომდე წელიწადზე ფეხს იდგამდნენ, განუწყვეტელი მუშაობისაგან ოფელში იღვრებოდნენ, რომ მათი პატარა გოგონა როგორმე შიმშილით არ მოკვდარიყო.

გოგონას ლეილა ერქვა. არაჩვეულებრივი ლამაზი იყო; თვალები ლურჯი ჰქონდა, თითქოს ბანაობისას ზღვის წყალმა შეუფერადაო, თმები კი შავი, იმ ღრუბელივით შავი, მათ სოფელს რომ ჩამოსწოლოდა თავზე.

ერთი საოცარი თვისება ჰქონდა ლეილას: დახუჭავდა თუ არა დიდრონ თვალებს, სადაც ინატრებდა ყოფნას, იქ გაჩნდებოდა. მაგრამ ცუდი ის იყო, რომ, როგორც კი თვალებს გაახელდა, მაშინვე ქრებოდა მთელი საკვირველებანი.

ერთ საღამოს ვიღაც შეიარაღებული კაციები მოვიდნენ და მამა წაიყვანეს. დედამ ტირილი დაიწყო, ლეილასაც ლოყები მოეცვარა ცრემლებით. გავიდა ერთი კვირა, გავიდა მეორე, მაგრამ მამა არსად ჩანდა. მაშინ ლეილამ დახუჭა თვალები და ინატრა მამასთან გაჩენილიყო. ცივ და ბნელ სარდაფში აღმოჩნდა გოგონა. კენესა გაისმა. მაშინვე გაიქცა იმ მიმართულებით, საიდანაც ხმა შემოესმა, და გულში ჩაეხუტა მამას.

— ჩემო ნუგეშო, ჩემო თვალცქირალო შეილო, — წარმოთქვა მამამ, — ვიცოდი, რომ მოხვიდოდი, არ მიმატოვებდი. იმ საზიზღრებს ჩემი გაგზავნა უნდათ შორეულ ქვეყანაში, — კორეაში, სადაც ოკეანისგან დაღმეული ამერიკელი კაციჭამიები შენისთანა პატარა გოგონებს ხოცავენ, უნდოდათ მეც იმ

ომში წავსულიყავი, გავუძლიანდი და, აი, ამ საკანში მომამწყვდიეს.

ლეილა უსმენდა საცოდავ მამას და ქვითინებდა.

— მამი, მე არ წავალ, სულ შენთან დავრჩები და მოგივლი, მაშინ ხომ კარგად იქნები, მამი, ხომ იქნები ბედნიერი?

— არა, ჩემო თვალხუჭია ყვავილო, ახლა გაახილე თვალები და დედას დაუბრუნდი, ის ალბათ ძალზე წუხს, მარტო რომ დარჩა... ოჰ, რომ იცოდე, ჩემო გოგონა, ბედნიერება არც ისე შორს არის აქედან; ხომ გახსოვს, რომ გიამბობდი ერთი ზღაპრული ქვეყნის შესახებ; იქ ყველა ბედნიერად ცხოვრობს, შენისთანა პატარებს იქ პიონერები ჰქვია, ყელზე წითელი ყელსახვევები უკეთიათ.

— მახსოვს, მამი, მერე საით არის ის ქვეყანა?

— შავი ზღვის აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით, საითკენაც ზღვის ტალღები მიისწრაფვიან, საითაც მიფრინავს ფრთამალი ნიავი... ჩვენი კუთხე იმ ქვეყნის ნაწილი იყო, ჩვენ იმ ქვეყნის ხალხის სისხლი და ხორცი ვართ... გაახილე ახლა თვალები, ჩემო გოგონა, დაუბრუნდი დედას.

ლეილამ თვალები გაახილა და დედასთან გაჩნდა. უამბო მამის გაჭირვება და მთელი ღამე ტირილში გაატარეს.

დილით ლეილა ზღვის ნაპირზე გამოვიდა. იმ მხარეს გახედა, საიდანაც მზე ამოდიოდა, საითკენაც ზღვის ტალღები მიისწრაფოდნენ და ფრთამალი ნიავი მიქროდა. მზეს უკვე ისე გაეცხელებინა კენჭები, რომ ტერფები აეწვა ფეხშიშველა გოგონას. ლეილამ ხიდან დიდი ფოთოლი ჩამოწყვიტა, კენჭებზე გაფინა და ზედ დაწვა.

— ტალებო, ტალებო, — ბუტბუტებ-  
და ლეილა, — გეძუდარებით, ტალებო, წა-  
მიყვანეთ იმ ქვეყანაში, სადაც ბავშვები  
ბედნიერად ცხოვრობენ... გამაცურეთ, ტალ-  
ლებო...

ამ ფიქრებში ლეილას ჩაეძინა.

ტალმა, რომელსაც გოგონას ხმა შემოეს-  
მა, ნაპირზე ამოგორდა. ისე მოეწონა მძინა-  
რე ლეილა, რომ გადაწყვიტა შეესრულებ-  
ინა მისი თხოვნა. იმ ფოთლის ქვეშ შეტ-  
ბორდა, რომელზედაც ლეილას ეძინა, აატივ-  
ტივა და ზღვაში შეაცურა. მთელი დამე მია-  
ცურებდა ტალმა გოგონას აღმოსავლეთი-  
საკენ, მეორე დღეს კი ერთ თვალწარმტაც  
ნაპირთან მიაცურა. ლეილას გაეღვიძა და  
და შიშისაგან შეჰკვივლა:

— უჰ, კიდევ კარგი, რომ გამეღვიძა, თო-  
რემ ტალმა შემათრევადა შუაგულ ზღვაში  
და დავიხრჩობოდი!

ლეილას ეგონა, რომ ისევ იმ ნაპირზე იმ-  
ყოფებოდა, სადაც ჩაეძინა. ფოთლიდან  
წყალში ჩახტა, კაბა აიკეცა და ნაპირზე გა-  
ვიდა. უცებ გაკვირვებისაგან წამოიყვინა:  
მის წინ უღამაზესი ქალაქი გადაშლილიყო.  
მწვანე ხეებში ჩაფლული თეთრი სახლებით.  
ლეილა ბალისკენ გაიქცა. ბაღში პატარა, ლა-  
მაზი ტბა იყო, ზედ პატარა გემი დაცურავ-  
და, გემში ბავშვები ისხდნენ. ყველა იცინო-  
და, ყველა ბედნიერი იყო.

— ნეტავ რა მემართება? — გაიფიქრა  
ლეილამ, — საიდან მოვხვდი ამ ზღაპრულ  
ქვეყანაში? თვალები ხომ არ დამიხუტავს,  
ხომ ღია მაქვს? — ლეილამ ტბაში ჩაიხედა,  
თვალები მართლაც ღია ჰქონდა. — საკვირ-  
ველია, თვალების დახუტვა აღარც მინდა,  
ისედაც ყველაფერი კარგია აქ.

უცებ ლეილას ბავშვები შემოეხვეწენ  
გარშემო.

— აქ მართო რას აკეთებ? — უთხრა ლეილა.  
ლოყაწითელმა გოგონამ და ხელი ხელში  
ჩასჭიდა. — წამოდი ჩვენთან, საქანელაზე  
გავქანდეთ, სწორედ ერთი გვაკლდა...

ლეილას ყველაფერი დაავიწყდა და პეპე-  
ლასავით გაფრინდა ბავშვებთან ერთად.  
შემდეგ ბავშვებმა გემზე აიყვანეს ლეილა.  
მიხვდა გოგონა, რომ სწორედ იმ ზღაპრულ  
ქვეყანაში იყო, რომელზედაც მამა უამბობ-  
და; მიხვდა, რომ ეს ბავშვები პიონერები  
იყვნენ. მამის გახსენებაზე დალონდა. ყველა-  
ფრით ბედნიერი იყო ახლა, აღარც შიოდა,  
აღარც სციოდა, ოღონდ დედ-მამა აღარ  
ჰყავდა გვერდით. დახუტა მამის თვალები და  
ინატრა, რომ მშობლებთან გაჩენილიყო.  
ისევ თავის ღარიბულ ქოხში მოხვდა. მამა  
თურმე ციხიდან გამოქცეულიყო. გახარე-  
ბულმა ლეილამ ყველაფერი უამბო მშობ-  
ლებს.

— აგრე, ჩემო შვილო, სულ ბედნიერად  
იცხოვრე, — უთხრა დედამ.

— ჩემო თვალხუტია ყვავილო, — ხელე-  
ბი მოხვია მამამ შვილს, — სულ იმას ვნატ-  
რობდი, რომ შენი დიდი სამშობლო გენახა  
როდისმე. რაკი ამ ბედნიერებას მოესწარი,  
აღარ ვიდარდებთ, გავიკვირვებთ როგორმე.  
გაახილე ახლა თვალები და დაუბრუნდი იმ  
ქვეყანას.

ლეილამ თვალები გაახილა და ისევ პატა-  
რა გემზე გაჩნდა. მის გვერდით ის ლოყა-  
წითელი, თეთრკაბიანი გოგონა იდგა. ლეი-  
ლამ უნებურად ხელები შემოხვია მას და  
გოგონებმა ერთმანეთი გადაკოცნეს.



# თაფლის კვერი

ზინალ ჯაბარაღა  
ახერბოჯანელი მწერალი

ნახ. ბ. დიკისა

## მთხრობა


ჯონი ღარიბი ზანგის შვილია. მისი ოჯახი ამერიკის ქალაქ ნიუ-იორკში ცხოვრობს. თუმცა ოჯახი პატარაა, მაგრამ მამის ნაშრომით ფული მხოლოდ ნახევრად მშვიდი და მიშველი არსებობისათვის ყოფნით. მათი ცხოვრება შეიძლება კიდევ ასატანი ყოფილიყო, რომ მოხუცი დედა და ცხრა წლის და კერი არ ავადმყოფობდნენ. ჯონის მამას, ძველ ზეიხკალს, ძიუხედავად მისი სამოცი წლის ასაკისა, დედალამ მუშაობა უწყევს. იგი არასოდეს არ ამბობს უარს ყოველგვარ მძიმე სამუშაოზე, ოღონდ ოჯახი უზრუნველყოს. ქარხანაში თოთხმეტსათიანი მუშაობის შემდეგ მოხუცი დიდხანს დაეხეტება დამატებითი სამუშაოს საძებნად ვაგზებზე, ნავსადგურებზე, ეზოებში. მაგრამ ხშირად ეს ძებნა უშედეგოდ მთავრდება და დაქანცული მოხუცი ძლივს მილასლასებს თავისი ნესტიანი, უსინათლო ქოხისაკენ.

ასეთ შემთხვევაში ჯონი, დედამისი და პატარა და არაფერს ამბობენ იმაზე, რომ დილიდან უკმელნი არიან; არ უნდათ წუწუნით მამას კიდევ მეტად ატკინონ გული. მხოლოდ პატარა კერი ბავშვური ჟინიანობით მამისკენ გაიწოდებს განუწყვეტელი სიციხისაგან მხურვალე ხელებს და შეეკითხება:

— მამიკო, როდესაც ჩვენ ბევრი, ბევრი ფული გვექნება, მიყიდი თაფლის კვერს?

მამას სინდისი ქეჯნის, რომ კვლავ ხელცარიელი დაბრუნდა საყვარელ ბავშვთან, რომ არაფრით შეუძლია გაახაროს ავადმყოფი გოგონა. იგი ბავშვს აღმოდებულ ლოყებს უკოცნის და ეუბნება:

— გიყიდი, შვილიკო, ყველაფერს გიყიდი... ოღონდ შენ გამოკეთდი, ფეხზე წამოდექი.



დაქანცული მოხუცი ძლივს მილასლასებს თავისი ნესტიანი ქოხისაკენ.

ცოტა ხნის შემდეგ ოჯახი უკეთეს მომავალზე ფიქრით იძინებს, მხოლოდ ჯონს არ სძინავს, ზგი დიდი, შავი თვალებით ქოხის დაბალ ჭერს მისჩერებია და რაღაცაზე ოცნებობს... ვინ იცის, რა აღევლებს ამ თორმეტი წლის ზანგის ბიჭის გულს!

\* \* \*

ჯონს რომ გაეღვიძა, ქუჩებს ჯერ კიდევ დამის საბურველი ებურა, მაგრამ იქიდან უკვე მოისმოდა გამველი ზანგის ფეხის ხმა და ლაპარაკი. ისინი მიიჩქაროდნენ ქალაქის სხვადასხვა კუთხეში სამუშაოს საძებნად... მამამისი უკვე დიდხანია წავიდა. ჯონი წყნარად წამოდგა ლოგინიდან, ღერსინანდ გადახედა მძინარე დედას და დას და პარმალზე გავიდა.

სუსხიანი დილა იყო. სიცივისაგან მობუზული ჯონი ერთხანს კარებთან იდგა, შემდეგ კი გასწია ნახევრადანგრეული ქოხისაკენ, სადაც ჩვეულებრივ მათი ქუჩის ბიჭები იკრიბებოდნენ. ამ ქოხში ოდესოაც ცხოვ-



რობდა ბავშვების საყვარელი მეგობარი ბიძია რიჩარდი. ერთადერთი შვილის, ოცი წლის რობერტის დალუპვის შემდეგ მოხუცმა ვერ შესძლო აქ ცხოვრება და სადაც გადაიკარგა.

ქონს რომ მიუახლოვდა, ჯონმა ნაბიჯი შეანეჭრა, ქობიდან თავისი ამხანაგების ხმა მოესმა; ბავშვები აქ შეკრებას ჯერ კიდევ იმ დროიდან შეეჩვივნენ, როცა აქ ბიძია რიჩარდი ცხოვრობდა. რიჩარდი უყვებოდა მათ საინტერესო ამბებს. სკოლაში სწავლის საშუალებასა და ყოველგვარ ბავშვურ სიხარულს მოკლებული პატარები გატაცებით უსმენდნენ მოხუცს.

ჯონმა ყური მიუგდო ბავშვების საუბარს.

სიცივისგან აკანკალებული ერთი ბიჭუნა ამბობდა:

— ეხ, მე რომ ფული მქონდეს... ფეხსაცმელს ვიყიდი.

მეორე ბიჭუნამ გააწყვეტინა:

— არა, არა, მე სულ სხვა რამეზე ვოცნებობ, — მე მინდა ლონიერი ვიყო, ნავსადგურში მტვირთავად ვმუშაობდე, და ნამოვნი ფულით მოხუც მშობლებს დავეხმარო.

ეს აზრი ჯონს ძალიან მოეწონა, ამ სიტყვებმა, თითქოს ცეცხლი დაუნთეს გამხდარ ტანში, ძალა შემატეს მის სუსტ ხელებს. ჯონი არ შესულა მოხუცი რიჩარდის ქონში, დაფიქრებულმა გზა განაგრძო.

\* \* \*

წვიმა. ვიდრე ჯონი, ფართო ქუჩამდე მივიდოდა, სადაც დიდი მალაზიები იყო, მთლად დასველდა. დიდი საფუნთუშეს წინ შეჩერდა, აქ დარბაზში გამოფენილი იყო სხვადასხვაგვარი ნამცხვრები, ფუნთუშები. ჯონი ღიღინას შეჰყურებდა ტკბილულობას, და თუმცა თვითონაც მშიერი იყო, მაინც კერძო გაიფიქრა: „ეხ, კერი რომ აქ ყოფილიყო, როგორ გაიხარებდა!“ ამ დროს საფუნთუშეს წინ პატარა სატვირთო მანქანა გაჩერდა. მალაზიიდან გამოვიდა გამყიდველი და აქეთ-იქით დაიწყო ყურება, ალბათ ეძებდა ვინმეს, რომ ნამცხვრები გადმოეტვირთა. ჯონი წინ წარსდგა და უთხრა:

— ბატონო, თუ ნებას დამრთავთ, მე მიგეხმარებით.

გამყიდველმა კუმტად შეხედა ჯონს და წაიბუღუნა:

— გასწი აქედან, ლეკვო! შენ სად შეგძლია ამ ყუთების აწევა, ისინი შენზე ღიღინა!

ჯონს შეეშინდა. იმავე წუთში უნდოდა უკან დადევნებოდა მალაზიაში შებრუნებულ გამყიდველს და შევედრებოდა: „ბატონო, ნება მომიცით! მე მზად ვარ ყოველგვარი სამუშაო შევასრულო. ჩემი დედა და



ჯონმა პირამდე სავსე ყუთების ზიდვა დაიწყო.

დაიკო შიმშილით კვდებიან. მე ავადმყოფ დას თაფლის კვერი უნდა ვუყიდეო“. მაგრამ შიშისა და სიცივისგან პირში ენას ვერ იბრუნებდა. რამდენიმე წუთის შემდეგ ჯონს ბედმა გაუღმა, — კარებში კვლავ გამოჩნდა გამყიდველი, რომელიც ბუზღუნებდა: — სად დაიკარგა ის ლეკვი?

ჯონმა სწრაფად მიიბრინა მასთან და გახარებულმა ენის ბორძიკით უთხრა:

— აქ ვარ, ბატონო!

— ყური მიგდე, შავო ხოჭოვ! — ეს ყუთები მანქანიდან მალაზიაში შეზიდე და გასამარჯელოდ ორ თაფლის კვერს მიიღებ. თანახმა ხარ?

ჯონი ყურებს არ უჯეროდა. ტკბილი თაფლის კვერი და ისიც ორი! მას უნდოდა ეს სასიხარულო ამბავი მთელი ხმით ეყვირა, რომ ის პატარა კერის გავეგონა.

ჯონი თვალის დახამხამებაში მივარდა მანქანასთან და პირამდე სავსე ყუთების ზიდვა დაიწყო. მანქანა ჯერ მხოლოდ სანახევროდ იყო დაცლილი, ჯონი კი ისე მოიქანცა, რომ მუხლებს ძლივს იმაგრებდა. მიუხედავად სიცივისა, მთლად გაოფლიანდა. მაგრამ, როგორც კი მოაგონდებოდა, რომ შეასრულებდა კერის სურვილს და წარმოიდგენდა მის სიხარულს, დაღლა ავიწყდებოდა. ორი ყუთი კიდევ შეიტანა მალაზიაში და როდესაც მესამე ყუთი შეჰქონდა, უტკებ თავადმა დაეცა და განძრევა ვეღარ შესძლო. ამის დანახვაზე გამყიდველი მივარდა მასთან და დაუყვირა:

— ლეკვო, სულ ესაა შენი შეძლება? — და უძრავად მწოლარე ბიჭს ერთი თავფლის კვერი გადაუდგო. — აჰა, აიღე, აი შენი მუშაობის გასამრჯელო.

ჯონმა როცა ღონე მოიკრიბა და წამოდგა, მუხლები უკანკალებდა, ყურებში უწიოდა, თვალი უბნელდებოდა. იქვე, მის ახლოს დაგდებული თავფლის კვერი რომ დაინახა, სწრაფად დასტაცა ხელი, უბეში ჩაიღია და ოდნავ გასაგონად წარმოსთქვა: „ეს კერისთვის“.


\* \* \*

უკვე ბნელოდა. ჯონი შინისკენ გზას გაჭირვებით მიიკვლევდა, თავბრუ ეხვეოდა, გული საშინლად უცემდა, თვალები ველარაფერს არჩევდა.

ბიჭი უკანასკნელ ძალას ეკრებდა, რომ არ დაცემულიყო, კიდევ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და წატორტმანდა. თავის შესამაგრებლად კედელს მიეყრდნო. ჩაიბუხლა, მისი ქოხი აქედან შორს არ იყო. უნდოდა დაეძახა, მაგრამ ხმამ უღალატა. ქუჩაში უკვე აღარ ისმოდა გამგლელების ფეხის ხმა. გავიდა ხუთი-ათი წუთი. ბოლოს, სიცივისგან თუ თავის აუტანელი ტკივილისგან, თვალები გაახილა და გარშემო მიმოიხედა. ხელი წაივლო ტილოს ნაჭერზე, რომელიც ქამრის მაგიერ შარვალს უმაგრებდა. — არ გამწყდარა, — თავისთვის ჩაილაპარაკა და შეშფოთებით დაუწყო უბეში რალაცას ძებნა. თავფლის კვერი თავის ადგილზე იყო; ჯონს გაეხარდა. ახლა მხოლოდ ერთი სურვილი ჰქონდა: როგორმე სახლამდე მიეღწია და ავადმყოფი კერისთვის მიეცა ასეთი გაჭირვებით ნაშოვნი თავფლის კვერი.

ამ ფიქრით გართული ჯონი წამოდგა, რამდენიმე ნაბიჯი მძიმედ გადადგა, თავს ძალა დაატანა და შინისკენ ლასლასით წავიდა. თავის ქოხთან რომ მივიდა, კარებს იდაყვი ჰკრა, შეაღო და ოთახში შევიდა. აქ დაღონებული მამა თავს დასდგომოდა მწოლარე, მძინარე კერის და ფიქრებში ღრმად წასულიყო. ფეხის ხმა რომ გაიგონა, თავი ასწია:

- ეს შენა ხარ, ჯონ? — იკითხა მან.
- დიახ, მამა, მე ვარ. კერის სძინავს?



კერის სახე რომ უკეთ დაენახა, ჯონი მისკენ დახარა.

მოხუცმა მძიმედ ამოიოხრა, შეიღს დაწითლებული თვალებით შეხედა და ყრუდ მიუგო:

— სძინავს, შვილო, სძინავს...

და მის ქალარით დაფარულ ლოყებზე ორი წვეთი ცრემლი ჩამოგორდა. ჯონი ჯერ კიდევ ვერ მიხვდა მამის სიტყვების აზრს, და კერის სახე რომ უკეთ დაენახა, მისკენ დაიხარა. პატარა საწოლში პირაღმა მწოლარე გოგონას თითქოს მართლაც ღრმა ძილით ეძინა.

მამამ ჯონს თავზე ხელი გადაუსვა და უთხრა:

— შვილო, გამოეთხოვე შენს დაიკოს. ხვალ უკვე გვიან იქნება. განთიადისას მას ჩვენი სახლიდან წაასვენებენ და ველარასოდეს ვეღარ ვნახავთ. კერი ძალიან გელოდა, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე კარებს შეწყურებდა და შენს სახელს იმეორებდა...

ჯონი მხოლოდ ახლა მიხვდა, რომ კერი აღარ იყო. საშინლად დაიყვირა, დის გაციებულ სხეულს მივარდა, უკოცნიდა მას სახეს, თვალებს, შავ ხუჭუჭა თმებს და თან სლუკუნით ეძახდა:

— კერო, ჩემო დაიკო! ადექი, ნახე რა მოგატანე...

აქვითინებულ ჯონს ხელიდან რალაც დაუვარდა. ეს იყო თავფლის კვერი.

თარგმანი ბ. ზელიასი



# ციტრუსების მავნებელი მტრები

ბუნებაში მრავალნაირი მწერია. მათგან ზოგიერთი მეორე მწერის მტერია, მის ხარჯზე იკვებება. იმ მწერს, რომლის ხარჯზეც სხვა მწერი იკვებება, მსხვერპლი ეწოდება, ხოლო იმ მწერს, რომელიც იკვებება, — პარაზიტი ან მტაცებელი. განსხვავება ამ შემთხვევაში კვების თავისებურებაშია. ზრდადასრულებული პარაზიტი მწერი ჩვეულებრივ თავისი მსხვერპლის ორგანიზმში დებს კვერცხებს, კვერცხებიდან იმკვებიან პატარა პარაზიტები და მსხვერპლის სხეულის ხარჯზე იზრდებიან პარაზიტთა მთელი მოდგმა.

მტაცებელი მწერი კი თავის მსხვერპლს ერთბაშად ჭამს. აღამიანი სარგებლობს მწერებს შორის ბუნებრივად შექმნილი ასეთი წინააღმდეგობით და ამა თუ იმ პარაზიტ ან მტაცებელ მწერს იყენებს მავნე მწერების გასანადგურებლად.

ავილოთ თუნდაც ციტრუსების მავნე მწერებთან მებრძოლი მწერები.

თქვენ იცით, რომ ბუნებაში მრავალგვარი ქიამაია, მათ ხვალდარიებსაც უწოდებენ. ალბათ გინახავთ კიდეც სხვადასხვა ფერის პატარა ხოჭოები, რომლებსაც მაგარი და სხვადასხვაფერად დაწიწკლული წინა ფრთები აქვთ. ასეთი ქიამაიები ზოგჯერ დიდი რაოდენობით მოედებიან ტილებით დაზიანებულ მცენარეებს და ტილებს უნადგურებენ მათ. საქართველოში წნ სახეობის ქიამაია ნაპოვნი, რომელთა შორის 64 სახეობა მტაცებელი მწერია.

მავნებლებით მოდებულ მანდარინის ფოთლებზე შეიძლება შევამჩნიოთ სწრაფად მოსიარული, შავი ფერის, მზვინავი ქიამაიები, რომელთაგან ზოგს თითოეულ ზედა ფრთაზე თითო დიდი წითელი ლაქა, ხოლო ზოგს განივად გაწყობილი 2-3 მცირე წითელი ლაქა აზის. ისინი ხარბად უღაპავენ ციტრუსებისათვის მავნე პატარა მწერებს. ეს ქიამაიები ქილოკორუსის გვარს მიეკუთვნებიან. ქიამაიების ამ ლამაზი ხოჭოების გარდა მანდარინის ხეზე შეიძლება შევამჩნიოთ მოზრდილი მატლიც, რომელიც ციტრუსების მავნებელთა ახალგაშობიკელ თაობას შეექცევა.

ნორჩ მიჩურინელებს შეუძლიათ თვალყური ადევნონ ქილოკორუსების ნადირობის ამ საინტერესო სახასიათს, ბეჯითად დააკვირდნენ მას, შეისწავლონ ეს ქიამაიები. მათ მიერ მოტანილი სარგებლობა, ყოველივე საინტერესო თავიანთ დღიურებში სისტემატურად ჩაიწერონ. სკოლაში საჩვენებლად ყველაზე ლამაზი, კოხტა ხოჭოები მწერსაგულში მოკლან და მუყაოს პატარა ყუთში ბამბის ფენაზე მწყრივად დაწყობილი შეინახონ. სკოლაში კი ბიოლოგიის მასწავლებელი ქიამაიის მატლებს დასაკონსერვებულ სითხეში (70%-იან ღვინის სპირტში) შეინახავს.

ციტრუსების მტრებს ამარცხებენ აგრეთვე ქიამაიები როდოლია და კრიბტოლემუსი. როდოლია სპობს ავ-

სტრალიის ღარიან ცრუფარიანას, ხოლო კრიბტოლემუსი ციტრუსების ფქვილისებრ ცრუფარიანას.

ჯერ კიდევ 1927 წელს სოხუმში პირველად შენიშნეს ავსტრალიის ღარიანი ცრუფარიანა, რომელიც უცხოეთიდან შემოსულა ჩვენში. 1931 წლისთვის ის იმდენად მომრავლდა, რომ საქირო გახდა მის წინააღმდეგ სპეციალური ღონისძიებების ჩატარება.

როგორი გარეგნული ნიშნები აქვს ამ მავნებელს? ზრდასრული მწერის სხეული 6 მილიმეტრი სიგრძისაა, თითქმის ოვალური და ბრტყელი ფორმა აქვს. მუქი მოწითალო ფერისა. ამ მავნებლის წინააღმდეგ საბრძოლველად, ლენინგრადელი მეცნიერების რჩევითა და დახმარებით, როდოლია ჩამოიყვანეს, მათ კი როდოლია ეგვიპტეიდან მიუღიათ 1931 წელს. როდოლია თურმე მუსსრს ავლებს ციტრუსების მავნებლებს თავის სამშობლოში. ამ ქიამაიის (როდოლიას) ხოქოს საერთო ფერი წითელია, ის 3—5 მილიმეტრის სიგრძისაა. ერთი წლის განმავლობაში სოხუმში 4 თაობას ამრავლებს; ავსტრალიის ღარიან ცრუფარიანას ჭამენ როგორც ხოქოები, ასევე მათი მატლებიც. სულ რამდენიმე ხოქოს დასხმა იყო საქირო გასაფხულზე მავნებლით მოდებულ ყოველ მანდარინის ხეზე, რომ შემოდგომის პირველ ასეთ ხეებს თავისუფლად ესუნთქათ და მომავალი წლიდან ნორმალური მსხმოიარობა განეგრძოთ. ამგვარად, როდოლიამ იხსნა ჩვენი ციტრუსები ავსტრალიის ღარიანი ცრუფარიანას მიერ განაგებისაგან.

ციტრუსების კიდევ უფრო საშინელი მტერია ფქვილისებრი ცრუფარიანა, რომელიც აგრეთვე უცხოეთიდან შემოსულა ჩვენში. ეს პატარა მწერი 2—4 მილიმეტრის სიგრძისაა, ოვალური და გვერდებზე მრავალრიცხოვანი მორჩი აქვს. სხეული ზემოდან დაფარულია თეთრი მარცვლისებური ფქვილის მსგავსი გამონაყოფებით. კრიბტოლემუსი მუსსრს ავლებს ამ მავნებელს თავის სამშობლოში (ეგვიპტეში), ამიტომაც ლენინგრადელი მეცნიერების რჩევით ჩამოიყვანეს იგი სოხუმში, სადაც ერთი წლის განმავლობაში სამ თაობას ამრავლებს: ამ ქიამაიას ხოქო შავია, 3—4 მილიმეტრის სიგრძისაა, თავი და კიდურები წითელი ფერისა აქვს; ციტრუსების ფქვილისებრ ცრუფარიანას ჭამენ როგორც ხოქოები, ისე მათი მატლებიც.

მაგრამ ციტრუსებს და საერთოდ ძვირფას სუბტროპიკულ მცენარეებს ბევრი სხვა მტრებიც ჰყავს ჩვენში. ამიტომ ერთი და ორი მავნებლის მოსპობა არ კმარა. საქიროა ყველა მავნებელი მოსპოს, რომ მივიღოთ ციტრუსების რაც შეიძლება მეტი მოსავალი. ამ საქმეში დიდ როლს ასრულებს მიჩურინული აგრობიოლოგია.

პროფესორი **ლავით კობახიძე**



სანდრო ეული-ქერიძე

1. „ბ რ ძ ო ლ ა“

ოზურგეთის (ახლანდელი მახარაძის) სამოქალაქო სასწავლებელსა და საბაღოსნო სკოლაში ვსწავლობდი. სკოლის პანსიონში ვცხოვრობდი.

დედამ სკოლაში რამდენჯერმე მნახა. ღვეზელი და ჩურჩხელები მომიტანა. მეც ხშირად ვნახულობდი დედას, — როცა უქმედლებები იყო ან სკოლიდან დაგვიტხოვდნენ, ხელად ავირბენდი სოფელში.

ჩვენს ეზოს დაეტყო, საბაღოსნო სკოლაში რომ ვსწავლობდი: ქოხის წინ პატარა ბაღი გავაშენე. ისეთი მცენარეები დავრგე, რომ მეზობლებს მათზე თვალი რჩებოდათ. ნერგები სკოლის ბაღიდან მიმქონდა.

ათაა ცხრაას ოთხი წელი იყო.

ამ მხარის გლეხობაში რევოლუციურ მოძრაობას ფესვები ღრმად ჰქონდა გადგმული. ზოგიერთ მოწინავე სოფელში არალეგალური წრეები არსებობდა.

რამდენიმე დღით სოფელში ავედი. ერთი მეგობრის — ტიტეს ნახვა მინდოდა. ვწუხდი, რომ მას სწავლის განგრძობა ვერ მოეხერხებინა, სოფლის სამკითხველოში მოწყობილიყო და თვითგანვითარებას შესდგომოდა.

ტიტე გზაში შემხვდა. ჩემი ამოსვლა გაეგო და ჩემთან მოდიოდა. ერთმანეთს სიხარულით შევეგებეთ, გადავეხვიეთ.

— ერთი ჭაიდუმლო უნდა გაგანდო, ოღონდ არავის გაუმხილო, — მომმართა მან, მერე უბიდან რაღაც შეხვეული ქალაღი ამოიღო და გადმომცა — ამაღამვე წაიკითხე, რომ ხვალ სხვას წავაკითხო.

შეხვეული ქალაღი გავშალე. ხელში მე-

მხატვარი ჯ. მიმმარიაშვილი

კავა 1902 წლის გაზეთი „ბრძოლა“, \* ნომერი მეოთხე. ტიტეს შეხვედე, განგებ უზუბლი შევიკარი და საყვედურის კილოთი მივმართე: — გამაღობთ! — ვუთხარი და გაზეთი დავებრუნე.

ტიტე გაფითრდა, უკან დაიხია და დაბნულად წაილულულა:

— მე... მე მეგონა, რომ... — თვალეში ცრემლი მოადგა. ის იყო უნდა მიბრუნებულყო გასაქცევად, რომ ხელი დავეჭირე, უბიდან ოთხად დაკეცილი გაზეთი ამოვიღე და გადავეცი: — ამაღამვე წაიკითხე, რომ ხვალ სხვას წავაკითხო-მეთქი, ვუთხარი... ეს იყო 1904 წლის გაზეთ „პროლეტარიატის ბრძოლის“\*\* ახალი, მეშვიდე ნომერი.

ტიტე შემომამჩერდა, თანდათან დამშვიდდა და მის გამოწვდილ ხელს ჩემი ხელი შეხვდა...

ორივემ გულიანად გადავიხარხარეთ.

2. პირველი აღგზნება

პანსიონში ყველას ეძინა.

არ გვეძინა მხოლოდ მე და ჩემს ამხანაგს ცისკარაძეს. ხმადაბლა ვლაპარაკობდით. ერთმანეთს ჩვენ-ჩვენ აზრს ვუზიარებდით.

\* „ბრძოლა“ — თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის, მისი ლენინურ-ისკრული ჯგუფის პირველი არალეგალური ქართული გაზეთი. „ბრძოლის“ შექმნის ინიციატორი იყო ი. ბ. სტალინი. გაზეთი გამოდიოდა 1901-1902 წლებში.

\*\* „პროლეტარიატის ბრძოლა“ — ქართული არალეგალური გაზეთი, რსდმპ კავკასიის კავშირის ორგანო; გამოდიოდა 1903-1905 წლებში.

კონ მოელოდს იმას, რაც იმ დღეს მოხდა, რამაც ქალაქი შეაწრიალა, ფეხზე დააყენა.

მალე მასაც ჩაეძინა.

მე კი ისევ გაყუჩებული ფანჯარასთან მომდგარ ღამის წყვილადს. თვალს რთული არ ეკარებოდა. დღისით განცდილი მღელვარება ჩემში არ დამცხრალიყო.

ქალაქში ყველა ჩვენზე ლაპარაკობდა, — სამოქალაქო სასწავლებლის მოწაფეთა „ბუნტის“ შესახებ, რომელმაც მართლა ააფორიაქა ქალაქის ცხოვრება.

— ხედავთ, რა უქნიათ ჩვენს ბავშვებს! ტახტიდან ნიკოლოზის გადმოვდება განუზრახავთ! — ისმოდა ხალხში მითქმა-მოთქმა.

ჩვენი სასწავლებლის მოწაფეთა გაფიცვის შესახებ წიხისწარ სვიცოდით მხოლოდ არაღეგალური წრის წევრებმა.

ყველანი გაფრთხილებული ვიყავით არავის არსად კრინტი არ დაგვეძრა, მშობლებისთვისაც არაფერი გვეთქვა.

ღანიშნულ დღეს, დილით, სკოლის ეზოსთან მოვიყარეთ თავი, მწყრივებად დავეწყეთ და მდინარე ბუჟისაკენ დავეშვით. გზაში სხვა სკოლების მოწაფეები და ადგილობრივი ბავშვებიც შემოგვემატნენ, ეგონათ საბურთაოდ მივდიოდით.

ქუჩები სიმღერებით გავიარეთ. ვმღეროდით „მარსელიოზას“, რომლის ტექსტი არაღეგალურ გაზეთ „ბრძოლაში“ იყო დაბეჭდილი.

მდინარეზე გადავედით და გორაკზე წამომდგარ ეკლესიის გალავანში შევევროვდით. ის იყო მიტინგი უნდა გავეხსნა, რომ ქალაქის მხრიდან მდინარეს ცხენოსანი პოლიცია და აუარებელი ხალხი მოადგა. ასე გეგონებოდათ, მთელი ქალაქი ჩვენ მოგვედგა. გაისმა ჩვენი ხელმძღვანელის ხმა:

— არ შეშინდეთ! ვერაფერს გვიზამენ! გაიქეცით, ეცადეთ პოლიციას ხელში არ ჩაუვარდეთ!

მართლაც, ჩვენი „ბუნტი“ ისე დასრულდა, რომ პოლიციას არავინ დაუჭერია.

ჩვენ ვიცოდით, რომ ამ ჩვენს გაფიცვას მთავრობა უყურადღებოდ არ დატოვებდა. მოსალოდნელი იყო ჩვენი დასჯა...

და მე ვფიქროდი იმის შესახებ. თუ რას გვიზამდნენ, — დაგვსჯიდნენ თუ არა. ჩვენი ხელმძღვანელობის აზრით, მოსალოდნელი იყო სასწავლებლის დახურვა, მოსწავლე ახალგაზრდობისათვის სწავლის საშუალების მოსპობა.



— ესენიც მეთაურებთან მიაბრძანეთ! — დაცინვით უთხრა ინსპექტორმა ჩვენზე დარაჯებს.

ეს აზრი მალონებდა, აქი მეც „ბუნტოვნიკი“ ვიყავი...

ამ ფიქრებში წარმომესახა დედის ნაღვლიანი სახე, მისი ცრემლიანი თვალები, რომლებიც დამცქეროდნენ და თითქოს მეუბნებოდნენ: — ეჰ, შვილო, ბედი არ გვექონიაო.

მეც ჩამეძინა...

მეორე დღეს ყველანი სასწავლებელში გამოცხადდით. ზოგიერთებს მშობლებიც მოჰყვოდნენ. კლასებში არავის უშვებდნენ ინსპექტორის კაბინეტთან პოლიციელები იღვნენ. კაბინეტში მოწაფეებს ეძახდნენ და მათ დაკითხვას აწარმოებდნენ: რატომ თვითნებურად მიატოვეს გაკვეთილები, რატომ გააფიცნენ. ვინ იყვნენ მათი მეთაურები და სხვ.

მათ შეკითხვებზე თითქმის ყველანი ერთსა და იმავეს უპასუხებდნენ: „არა“, „არ ვიცი“.

პანსიონიდან მე და ცისკარაძე გამოგვიძახეს. დაკითხვის შემდეგ ინსპექტორმა ჩვენს მომართ დაცინვით უთხრა დარაჯებს:

— ესენიც მეთაურებთან მიაბრძანეთ. დღეს და ხვალ აქ ისაძლიებენ, ხოლო არა სახელმწიფო ხარჯზე. ეს მათ უნდა იცოდნენ.

რამდენიმე დღის შემდეგ სხვა მეთაურებთან ერთად მე და ცისკარაძე გაგვრიცხეს სასწავლებლიდან...

ჩვენი სასწავლებლის მოწაფეთა ეს გაფიცვა ჩემი პირველი რევოლუციური აღგზნება იყო, რომელმაც განსაზღვრა შემდგომი ჩემი იდეური ცხოვრება.



# რ ა ი მ ო ნ დ ა

# დ ი ე ნ ი



მშვიდობა! — ღრმად ჩაუყვირდით, ბავშვებო, ამ სიტყვას.

მშვიდობა! — ეს ჩვენი დედების სიცოცხლეა.

მშვიდობა! — ეს ნორჩი თაობის ბედნიერებაა, ქალაქების ხელუხლებლობაა, სკოლებისა და თეატრების, პარკებისა და კლუბების, კულტურის ძეგლების გადარჩენაა.

მშვიდობა! — ეს სწავლა და შრომაა, ეს სიცოცხლის გამარჯვებაა სიკვდილზე.

ომი! — არა არის რა მასზე საშინელი კაცობრიობის ცხოვრებაში.

ხალხს არასოდეს არ სურდა ომი, ხალხს არასოდეს არ ისურვებს ომს.

მაშ, ვინ აჩაღებს ომს?

უკანასკნელი ომების გამჩაღებელი მუდამ ერთი მუქა კაპიტალისტები იყვნენ. დღესაც ომის გაჩაღების საწინააღმდეგო საქმეს სათავეში უდგანან ადამიანთა სისხლს მოწყურებული, კულტურისა და ცივილიზაციის უბოროტესი მტრები — იმპერიალიზმები.

განა დიდი ხანია დამთავრდა კაცობრიობის ისტორიაში უმაგალითო მეორე მსოფლიო ომი, რომელიც თავს მოგვახვია ჰიტლერულმა გერმანიამ? განა ჯერ ბალახი მორყევა ამ ომში დაცემულთა სამშო საფლავებს? განა ჯერ ყველა დანგრეულის აღდგენა მოასწრო ხალხმა?

ინგლის-ამერიკელი ყაჩაღები კი კვლავ ახალ ომს ამზადებენ. საზარელი ომი — უდანაშაულო ადამიანთა ხოცვა-ჟლეტა, ქალაქებისა და სოფლების ნგრევა და გადაბუგვა, რაც კორეასა და ვიეტნამში ხდება. დღესაც აბრწყინებს მშვიდობისმოყვარე პროგრესულ კაცობრიობას.

საბჭოთა კავშირი მუდამ სათავეში ედგა მშვიდობის საქმეს. ჯერ კიდევ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის პირველსავე დღეებში ლენინის ხელმოწერით გამოვიდა სპეციალური დეკრეტი, რომელიც ომის წინააღმდეგ იყო მიმართული და მშვიდობის შენარჩუნების საქმეს ემსახურებოდა.

მას შემდეგ ჩვენი დიდი სამშობლო, ლენინ-სტალინის პარტიის მეთაურობით, ბრძენი სტალინის

წინამძღოლობით მუდამ, თანმიმდევრულად იცავს მშვიდობის საქმეს. ამიტომაც არის მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ხალხების გულისყური მოპყრობილი ჩვენკენ, — საბჭოთა კავშირისაკენ, დიდი სტალინისაკენ, რომელიც მშვიდობის მედროშეა.

მშვიდობის დაცვის ამ კეთილშობილურ, დიად საკაცობრიო საქმეში საბჭოთა ხალხი მართლაც როდია — მას მხარს უჭერს მთელი პროგრესული კაცობრიობა. ძვირად, ზოგჯერ სიცოცხლის ფასადაც, უჯდებათ ადამიანებს კაპიტალისტურ ქვეყნებში მშვიდობის დაცვის ყოველი ღონისძიება. მაგრამ მამაცი ადამიანები ქედს არ იხრიან.

განა გარანტირებული იყო რაიმონდა დიენის სიცოცხლე, როცა მან მშვიდობის დასაცავად შეტად გაბედულ სახიფათო ღონისძიებას მიმართა?

1950 წლის 29 თებერვალს საფრანგეთის პატარა ქალაქ სენ-პიერ დე კორში შემოვიდა სამხედრო ეშელონი, რომელიც დატვირთული იყო ვიეტნამში გასაგზავნი ტანკებით.

ქალაქის მოსახლეობაში ამან აღშფოთება გამოიწვია. დიდი ხანია ფრანგი ხალხი ხმას იმაღლებს ფრანგი კოლონიატორების მიერ ვიეტნამში გაჩაღებული ომის საპროტესტოდ, და ახლა კიდევ ეს ეშელონი ტანკებით! — არა, ეს არ მოხდება! — ასეთი იყო ხალხის გადაწყვეტილება. აღშფოთებული მოსახლეობა დაიძრა სადგურისაკენ. მატარებელმა გაიარა კიდევ 300 მეტრი და...

მოხდა ის, რამაც მსოფლიოს ხალხთა სიმპათიით, სახელითა და დიდებით შემოსა გამირი ფრანგი ქალიშვილი რაიმონდა დიენი, — იგი გაწვა რკინიგზის ლიანდაგზე, პროტესტის ნიშნად ასწია ხელი და გზა გადაუღობა ეშელონს.

რა მოხდა შემდეგ? — აი რაიმონდა დიენი სასამართლოს წინაშე დგას. ქალიშვილი ამაყად, მტკიცედ წარმოთქვამს ჯალათი მოსამართლეების წინაშე: „მე ზიზღსა მკვრის ომი და ამიტომაც ჩავუვარდი ეშელონს!“.

დიახ, რაიმონდა დიენს სძულს ომი, ისე, როგორც ყოველ პატიოსან და გონიერ ადამიანს. მას აქვს ომის



# საქრებულო

საშინელი, მწარე გამოცდილება. ვინ მოთვლის, რა ტანჯვა და წაშლება განუცდია მას ჯერ კიდევ 1939 წლიდან. არც მანამდე იყო მისი ცხოვრება ტუბოლი კაპიტალისტურ საფრანგეთში, მაგრამ ომმა გადაავიწყა მას აღრინდელი უბედურებანი. ომის საშინელებას იგი ვერ დაივიწყებს. მისი მამა მთელი ხუთი წლის განმავლობაში ტყვედ იყო, დედა, ავადმყოფობის მიუხედავად, იძულებული იყო ემუშავა მინდორში... რაიმონდას ჰკავს კიდევ უმცროსი ძმა და დაისინი შიმშილობდნენ, ითუებოდნენ ზამთრის სიცივეში. ამას ემატებოდა მორალური ტანჯვაც: შიში იმისა, რომ ვაითუ ვერასოდეს ვერ ეხილათ საყვარელი მამა.

ვერავითარი ღონისძიებითა და მუქარით ვერ შეაჩერა მოსამართლემ დარბაზში მყოფი ხალხის აღშფოთება და საპროტესტო შეძახილები. ხალხი მოითხოვდა უდანაშაულო რაიმონდა დიენის განთავისუფლებას. მაგრამ სასამართლო ანგარიშს როდი უწევდა ხალხის მოთხოვნას. პროკურორმა სინანულიც კი გამოთქვა, რომ მემანქანემ მაშინ დაამუხრუპა ორთქლმავალი და არ გასრისა რაიმონდა დიენი.

მოწმეებისაგან სასამართლო თავის სასარგებლოდ ვერაფერს იღებდა. პირიქით, მოწმეები ამტკიცებდნენ რაიმონდა დიენის სრულ უდანაშაულობას. აი ერთი მოწმეთაგანი, ცნობილი ფრანგი ტრიბუნის, მშვიდობის საერთაშორისო პრემიის ლაურეატის უან რიშარ ბლოკის ქვრივი, — იგი მიმართავს რაიმონდა დიენს მადლობის სიტყვებით: შენ სახელოვნად შეასრულე ის მოვალეობა, რომლისთვისაც ესოდენ ტრაგიკული სიკვდილით დაიღუპა გერმანიაში ჩემი ქალიშვილი ფრანს ბლოკი.

ეგრეთ წოდებულ „მამაცთა კავშირის“ გენერალურმა მდივანმა და საფრანგეთის ქალიშვილთა ნაციონალურმა მდივანმა ოდებ საბატემ განაცხადეს: „რაიმონდა დიენის მოქმედება ჩვენი მოქმედება, მისი ტანჯვა და მისი ზიზღი ომისადმი ჩვენი ტანჯვა და ჩვენი ზიზღია ომისადმი!“

დედები, რომელთაც ომში დაქარგეს თავიანთი შვილები, მოვიდნენ, რათა მადლობა ეთქვათ რაიმონდა დიენისათვის: „ასეთ მოქმედებებს შეუძლია შეწყვიტოს ომი და მაშინ სხვა დედები არ დაიტანჯებიან ისე, როგორც ჩვენ ვიტანჯებით!“

მიუხედავად ხალხის პროტესტისა, ჯალათმა მოსამართლეებმა რაიმონდა დიენს პატიმრობა მიუსაჯეს. ერთი წელი ეწამა იგი ციხეში, მაგრამ მთელი მსოფლიოს მშრომელთა ენერგიული მოთხოვნით იგი გაათავისუფლეს.

რაიმონდა დიენის გმირული მოქმედება სიმბოლოა ხალხთა სურვილისა — დაიცვან მშვიდობა.

გმირი ქალიშვილი იყო საბჭოთა კავშირში, მოსკოვში. იგი ხშირად ხვდებოდა ჩვენს პიონერებს. რაიმონდა დიენი იყო აგრეთვე თბილისში, პიონერთა სასახლეში.

რაიმონდა დიენი უყვარს საბჭოთა ხალხს.

რაიმონდა დიენის გმირული მოქმედება იმის მაჩვენებელია, თუ როგორ იბრძვიან მსოფლიოს პატიოსანი ადამიანები მშვიდობისათვის, ომის წინააღმდეგ.

ლ. პარლსონიძე

ყველასათვის ცნობილია, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებზე არავინ არ ამზადებს თავდასხმას. მიუხედავად ამისა, ამერიკის სკოლები ემზადებიან სამხედრო სამსახურისათვის. მოსწავლეებს ასწავლიან, ომის დროს საჭაერო თავდასხმის შემთხვევაში როგორ უნდა მოიქცეს თითოეული მათგანი. სკოლებში ეწყობა საჭაერო და ატომური განგაშები.

ქალაქ ლოს-ანჯელოსის ერთ დაწყებით სკოლაში არის მასწავლებელი, რომელიც ბავშვებს არც წერას ასწავლის და არც კითხვას. მას სულ სხვა ვალდებულება აქვს. ყოველდღიურად იგი რამდენიმეჯერ მოულოდნელად გამოცხადდება კლასიდან კლასში და გასცემს ბრძანებას: „დაწყეთ!“.

მოსწავლეები დაუყოვნებლივ იმალებიან მერხების ქვეშ და წვებიან ისე, რომ სახით იატაკს ეკვრიან. ამერიკული ყურნალი „ტუდეზ ვემენი“ წერდა, რომ ნიუ-იორკის სკოლებში, ეგრეთ წოდებულ საჭაერო ბრძოლათა სახეების სწავლების დროს, მასწავლებლები იატაკზე ცარცით ავლებენ სწორ ხაზს, რომელიც ვითომ სახიფათო ცეცხლის ხაზია. მოსწავლეებს აიძულებენ ფრთხილად იხიზონ მის ახლო. თუ რომელიმე მოსწავლის ფეხი ხაზს შეეხება, მასწავლებელი უყვირის მოსწავლეს: „შენი ფეხი მოგლეჯილია!“.

## სკოლის ნაცვად ყანდარმთა ყაზარმა

ავსტრიაში, პროვინცია კარინტიაში, რომელიც ინგლისის საოკუპაციო ზონაში მდებარეობს, მოსწავლეებს არ ყოფნით სასკოლო შენობები. ამ პროვინციის ყველა მოსწავლეს რომ შეეძლოს სწავლა, საჭიროა აშენდეს არა ნაკლებ სამი შენობისა.

ავსტრიის ხელისუფალნი ყოველთვის ლაპარაკობდნენ, სკოლების ასაშენებლად არა გვაქვს ფულადი შესაძლებლობაო. მაგრამ, აი, ცოტა ხნის წინათ კარინტიაში დაიწყეს მშენებლობა. ავსტრიელ ბავშვებს ამაოდ უხაროდათ, — ახალი შენობა წინასწარ განკუთვნილი იყო არა სკოლისათვის, არამედ ყანდარმთა ყაზარმისათვის.



ბეჯითი, მკვირცხლი, მარდია  
ჩვენი პატარა ჩიტო.  
ადგება დილაადრიან,  
ჩაის იღუღებს თვითონ:  
ოთახს წესრიგში მოიყვანს  
და წყალს მოუტანს დედას,  
წიგნს სიყვარულით გადაშლის,  
გაკვეთილს გადახედავს;  
ისაუზმებს და სკოლაში  
მიდის ყოველთვის ადრე,  
იქ მეგობრებთან ერთობა  
ზარის წკრიალა ხმამდე.

ერთ ღამეს დიდხანს ვერ დაწვა,  
მერე გაუტკბა ძილი  
და ჩიტოს შეაგვიანდა  
სკოლაში წასვლა დილით.  
აჩქარდა გოგო, მოკურცხლა,  
სულმოუთქმელად გარბის.  
საცაა ზარი იქნება  
და ერთი წუთი რად ღირს!  
მთავარი ქუჩა გადაჭრა,  
აგერ მოედანს გასცდა,  
ერთსაც მოუხვევს და მერე  
მივა საყვარელ კლასთან.  
აი, ბავშვების ხმა ისმის,  
თუმცა შენობა არ ჩანს,  
მალე ამ სახლსაც გასცდება  
და მერე რაღა დარჩა!  
გულს სიხარული ატოკებს,  
მუხლს ძალა შეემატა,  
მაგრამ...  
ფანჯრიდან ისკუბა  
და გზა გადუქრა კატამ!

ჩიტო შეჩერდა. დაღონდა,  
დარღს მიეცა და ფიქრებს:  
— დავიციდი, გზა დანახსული  
! ხვამ გაიაროს იქნებ.  
რაღა ამ წუთში მოუნდა  
აქ გადმოხტომა წყეულს!  
არა, დღეს ხეირს ვერ ვნახავ...  
დღეს მარტო?! მგონი, წლეულს!  
ამ დროს ზარის ხმა გაისმა  
და ურიამული მიწყდა.  
— დარეკეს! —  
ჩიტო გაერკვა  
და კატაც დაავიწყდა.



გარბის და თითქმის მიწაზე  
ფეხსაც არ აღვამს ბაეში,  
მაგრამ რა!  
მასწავლებელმა  
უკვე შეასწრო კლასში.  
დაგვიანება აღნიშნეს.  
მიზეზი ჰკითხეს, — ვერ თქვა.  
რა ცეცხლი ენთო მის გულში,  
თვითონ იცოდა ერთმა.

მთელი დღე წუხდა გოგონა,  
არც ჭამის ჰქონდა შადა.  
ვერ წერდა, ვერც კითხულობდა.  
ხამდვილ ავადმყოფს ჰგავდა.  
— რამ დაგაღონა, ჩიტუნა? —  
აღერსით ჰკითხა მამამ.  
მაგრამ აღერსმა გოგონას  
გული ვერ დაუამა.  
ახლა ცრემლით და სირცხვილით

უფრო აუწყა ლოცა.  
ერთხანს იყურა და შემდეგ  
ის იმ დღის ამბავს მოჰყვია...  
— სულ იმ ჩხავანას ბრალია,  
გზა გადამიჭრა ნავსად,  
თორემ ყოველთვის ვასწრებდი  
მასწავლებელს და ზარსაც!  
მამა იტინის:  
— რა მოხდა?  
ვინ იტყვის სწორს და მართალს? —  
დედა შეწუხდა.  
ბებიამ  
თავი ანება სართავს,  
მერე ყველამ თქვა თავისი,  
კამათი გაიმართა...

დაგვიანება ჩიტოსი  
კატის ბრალია მართლმ?

ენაგორ მალაზონია



## დ ე რ ა მ ი წ ი ს ბ ა რ შ ე მ ო

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისამდე რუსეთი შორეულ აღმოსავლეთის სამფლობელოებთან კავშირს ამყარებდა მხოლოდ ხმელეთით. ათასობით ცხენი, მთელ ციმბირზე გავლით, მძიმე საზიდრებით ეზიდებოდა ფქვილს, მარილს, რკინას, ქსოვილებს შორეული აღმოსავლეთის ქალაქებისა და სოფლების მოსახლეობისათვის.

პირველი, ვინც გაუკაფა საზღვაო გზა რუსების ახალშენებს კამჩატკაზე, კურილიის კუნძულებზე და ალიასკაზე, იყო ცნობილი რუსი მეზღვაური ივანე თედორეს ძე კრუზენშტერნი. რუს მეზღვაურთაგან ის იყო პირველი, რომელმაც იმოგზაურა დედამიწის გარშემო. კრუზენშტერნი ხელმძღვანელობდა გეოგრაფიულ ექსპედიციას, რომლის განკარგულებაში იყო ორი იალქნიანი ხომალდი — „ნადეჟდა“ და „ნევა“.

ექსპედიცია გავიდა კრონშტადტიდან, გადაჭრა ატლანტის ოკეანე, შემოუარა სამხრეთ ამერიკას, გაცურა წყნარი ოკეანე და მიაღწია რუსეთის შორეული აღმოსავლეთის ნაპირებს.

რუსეთში ივანე კრუზენშტერნი დაბრუნდა ინდოეთის ოკეანეზე გავლით, აფრიკისა და ევროპის გარსშემოვლით. ევროპის ხომალდებს შორის „ნადეჟდა“ იყო პირველი, რომელმაც გაიარა იაპონიის დასავლეთ ნაპირების გასწვრივ.

მოგზაურობის დროს კრუზენშტერნმა აწარმოვა ბევრი მეცნიერული დაკვირვება, აღმოაჩინა ბევრი უცნობი კუნძული და „დახურა“ ისეთები, რომლებიც შეცდომით მოხვდნენ რუკაზე წინანდელი მკვლევარების მეოხებით.

## ლევანინსკაიას მიღწევები

ოლღა ბორისის ასული ლევანინსკაია არის ჩვენი დროის დიდი მკვლევარი-ბოლშევიკი.

ლევანინსკაია მუშაობს მეცნიერების იმ დარგში, რომელსაც ბიოლოგია ეწოდება.

ბიოლოგია შეისწავლის ცოცხალი არსებების წარმოშობასა და განვითარებას. მეცნიერებისათვის დიდი ხანია ცნობილია, რომ, გარდა თვალთ ხილული ცოცხალი არსებებისა, უამრავია ისეთი პატარა ზომის ცოცხალი არსებები, რომელთა დანახვა მხოლოდ მიკროსკოპით შეიძლება. ცნობილია ისიც, რომ მეცნიერებისა და ცხოველების აგებულებაში დიდად მონაწილეობენ პატარა ზომის ერთეულები — უჯრედები, რომელთა შესწავლა აგრეთვე მიკროსკოპის შემწეობით შეიძლება.

მარქსიზმის დიდი კლასიკოსი ფ. ენგელსი უჯრედის აღმოჩენას ბუნებისმეტყველების უდიდეს აღმოჩენათა რიგში აყენებდა.

ფ. ენგელსი შეიარაღებული იყო მეცნიერების ყველა დარგისათვის საჭირო თეორიით. ამ თეორიის მიხედვით არავითარ სასწაულმოქმედებას არ აქვს ადგილი. ყოველი ცოცხალი არსების წინაპრები მრავალი მილიონი წლების წინ უფრო მარტივები ყოფილან. ის მარტივი არსებები კი თავის მხრივ წარმოშობილან კიდევ უფრო ნარტივი ერთეულებიდან, ცოცხალი ნივთიერებიდან. ეს ცოცხალი ნივთიერება განვითარებულია არაცოცხალი ნივთიერებიდან.

ასეთი მატერიალისტური თეორიის საფუძველზე ფ. ენგელსმა შესძლო ისიც, რომ უჯრედის აღმოჩენის ფაქტი შეეფასებინა, და ისიც, რომ გაეფრთხილებინა მკვლევრები — არ ეფიქრათ, თითქოს სიცოცხლე დედამიწაზე აუცილებლად უჯრედიდან იწყება.

ცნობილმა ბუნებისმეტყველმა ჩ. დარვინმა გვიჩვენა, რომ ყველა მცენარე და ცხოველი, რომელთაც ჩვენ ამჟამად ვიცნობთ, განვითარებულა სხვა, უფრო მარტივად აგებული არსებებიდან. ჩ. დარვინს არ შეუსწავლია, განვითარების როგორი გზა განვლო სიცოცხლემ დედამიწაზე, ვიდრე მიიღებოდა ცოცხალი უჯრედი. ამ საკითხის შესწავლა წილად ხვდა გერმანელ მეცნიერს ვირხოვს.

მაგრამ ვირხოვმა დიდი შეცდომა დაუშვა. ვირხოვი ამტკიცებდა, რომ სიცოცხლე დედამიწაზე უჯრედიდან იწყება, რომ ყოველი უჯრედი წარმოშობილია მხოლოდ უჯრედიდან.

ვირხოვის მიხედვით ცოცხალი უჯრედი დედამიწაზე გაჩნდა უხილავი ძალის ზემო-



ო. ლევანინსკაია


ქმედებით. აქედან ცხადია, რომ აზრი არა აქვს ცოცხალი უჯრედის წარმოშობის საკითხის შესწავლას, შეიძლება მხოლოდ იმის შესწავლა, როგორ წარმოიშვა ერთი უჯრედი მეორე უჯრედიდან.

ოლღა ბორისის ასულმა ლევანინსკაიამ, შეიარაღებულმა მარქსიზმის კლასიკოსთა მოძღვრებით, დააყენა საკითხი უჯრედის განვითარების შესახებ, დედამიწაზე სიცოცხლის წარმოშობის შესახებ და აწარმოვა კვლევა-ძიება ამ მიმართულებით.

ლევანინსკაიას კვლევა-ძიება გაძნელებული იყო არა მარტო იმიტომ, რომ მას უხედბოდა ბიოლოგიის რთულ საკითხზე მუშაობა, მის მუშაობას დიდად უშლიდა ხელს ის გარემოებაც, რომ ბევრი მკვლევარი ისე შეეთვისა ვირხოვის თეორიას, რომ წინასწარ საწინააღმდეგოდ იყო განწყობილი ვირხოვის შეხედულებათა საწინააღმდეგო თეორიების მიმართ.

ვირხოვის თეორიით თვალახვეული მკვლევრები გვერდს უვლიდნენ მეცნიერებისათვის დიდი ხანია ცნობილ ფაქტს, რომ ბუნებაში უამრავზე უამრავია ისეთი ცოცხალი არსებები, რომელთა აგებულება გაცილებით უფრო მარტივია, ვიდრე უჯრედი; მაგალითად, მათ არ ახასიათებს უჯრედის ბირთვი.

დიდი სტალინი გვასწავლის, რომ არ შეიძლება წინსვლა და მეცნიერების წინ წაწევა, თუ არ გაუაპრიტიკებთ მოძველებულ



დებულებებს, თუხდაც ეს დებულებები ცხობილ პიროვნებებს ეკუთვნოდეთ.

ოღლა ბორისის ასულა ლეპეშინსკაიამ ომი გამოუცხადა ზებუნებრივი ძალის არსებობის რწმენას. მან წაძოაყენა მარქსისტულ-მატერიალისტური დებულება, რომ დედამიწაზე სიცოცხლე დაიწყო არა უჯრედებიდან, არამედ გახვლო უჯრედამდელი აოსებობის დიდი გზა. ლეპეშინსკაია ამტკიცებს, რომ ბუნებაში არაცოცხალი წარმოქმნის ცოცხალს, ეს უკანასკნელი კი განიკადის განვითარების პროცესს.

ო. ლეპეშინსკაიამ თავისი კვლევა-ძიება წარმართა უჯრედებისა და ამ უჯრედების შომცემი ცოცხალი ნივთიერების შესასწავლად.

ო. ლეპეშინსკაია ამტკიცებს, რომ თუ ჩვენ გვაქვს ცილა ან პროტოპლაზმა (პროტოპლაზმაში ცილაც შედის), და ეს ცილა ან პროტოპლაზმა ნივთიერებათა ცვლის უნარით არის აღჭურვილი, ეს ნიშნავს, რომ ჩვენ გვქონია ცოცხალი ნივთიერება.

ო. ლეპეშინსკაიას სრულიადაც არ აშინებს ის, რომ ამ ცოცხალ ნივთიერებას არ ახასიათებს უჯრედული აგებულება. მთავარი ის არის, რომ ამ ცილას ნივთიერებათა ცვლა ახასიათებს.

ყველა ცილა როდია სიცოცხლისუნარიანი. სიცოცხლისუნარიანი არის მხოლოდ ის ცილა ან პროტოპლაზმა, რომელიც მუდამ-ყამს იშლება და აღადგენს თავის თავს.

ო. ლეპეშინსკაიამ დაამტკიცა, რომ ცოცხალ ნივთიერებას, რომელსაც უჯრედული აგებულება არ აქვს, მაგრამ ახასიათებს ნივთიერებათა ცვლა, შეუძლია ცოცხალი უჯრედის წარმოშობა.

ო. ლეპეშინსკაია იკვლევდა ფრინველების, თევზების განვითარების ადრეულ სტადიებს. ის ხედავდა ამ ცხოველების კვერცხებში უჯრედების განვითარებას არაუჯრედული ცოცხალი პლანზიდან.

ო. ლეპეშინსკაიამ გვიჩვენა, რომ ფრინველებს კვერცხების შემცველი ყვითრი, ამ ყვითრის ცალკეული მარცვალი, რომელსაც არ გააჩნია უჯრედისათვის დამახასიათებელი ბირთვი, გადაიქცევა ახალ უჯრედად. მდებულ უჯრედს ბირთვიც გააჩნია. ამგვარად, ლეპეშინსკაიამ გვიჩვენა, რომ უჯრედის ერთ-ერთი მთავარი ნაწილი—ბირთვი—წარმოიქმნება ახლად, უფრო მარტივი ორ-

განული ნივთიერებიდან. ლეპეშინსკაიამ გვიჩვენა, რომ შეხედლისტები-მონიშნული ბი არ არიან მართლნი, როდესაც ამტკიცებენ—უჯრედის ბირთვი აუცილებელია, რომ ახალ უჯრედში ისევე ბირთვი იყოსო.

ლეპეშინსკაიას ლაბორატორიაში ფრინველთა კვერცხის ცილოვანი ნივთიერებიდან მიღებულია ახალი უჯრედები, სრულფასოვანი უჯრედები, რომლებშიაც უჯრედის ბირთვებსაც ვხაზულობთ.


ო. ლეპეშინსკაიას გამოკვლევებს უდადეგსი მნიშვნელობა აქვს. ეს გამოკვლევები არა მარტო ამხობენ ვირბოვის და მატერიალიზმის სხვა მოწინააღმდეგეთა დებულებებს,—ეს გამოკვლევები ახალ მიღწევებსაც გვასახვენ ადამიანის მკურხალობაში. ძირითადად სწორად ლეპეშინსკაიას გამოკვლევების საფუძველზე შესძლო მკვლევარმა ბოშინამა ეჩვენებინა, რომ მიკრობებსაც, რომლებიც ძრავალ ავადმყოფობას აჩენენ, შეუძლია განვითარდნენ უმცირესი ერთეულებიდან—ვირუსებიდან, ვირუსები კი იმყოფებიან არა ცოცხალი და ცოცხალი ბუნების საზღვარზე.

არაუჯრედული ცოცხალი ნივთიერებიდან უჯრედების განვითარების ფაქტი, რაც ლეპეშინსკაიას ძიერ არის ნაჩვენები, ამჟამად გამოყენებულია კრილობების სამკურნალოდ. მიღებულია საშუალებები, რომ ზღებოდეს უჯრედების ახალი სწრაფი წარმოშობა კრილობის არეში.

ლეპეშინსკაიას გამოკვლევების საფუძველზე გვეჩნება შესაძლებლობა სულ ახლებურად მიუღდგეთ ადამიანის საშინელი დაავადების—კიბოს ბუნების შესწავლას. პროფესორი ლავროვი და ნევედომსკი ლეპეშინსკაიას გამოკვლევების საფუძველზე ამტკიცებენ კიბოს და სხვა ავზნიანი სიმსივნეების მომცემ უჯრედთა არაუჯრედული ცოცხალი ნივთიერებიდან განვითარების შესაძლებლობას.

ყოველივე თქმულიდან ჩანს, რომ ოღლა ბორისის ასულ ლეპეშინსკაიას გამოკვლევები, დაფუძნებული მარქსისტულ მეთოდზე, გვაძლევენ უჯრედების წარმოშობისა და განვითარების ახალ ფაქტებს. ახლებურად ხსნიან სიცოცხლის წარმოშობას დედამიწაზე, გვისახვენ მომავალი გამოკვლევების ახალ შესაძლებლობას.

პროფესორი პ. ჭანგუჩიშვილი



# სახალხო გმირი

## არსენა

### ოძელაშვილი

#### იაკობ ბალახაშვილი

მატყარი ბ. ბაშისხევილი

თქვენ, რა თქმა უნდა, ყველას მოგისმენიათ ან წაგვიკითხავთ „არსენას ლექსი“ და ჯარგალ გახსოვთ მისი შინაარსი. ჩემი მიზანია გიამბოთ სახალხო გმირ არსენა ოძელაშვილის შესახებ.

არსენა ოძელაშვილი სოფელ მარაბდაში დაიბადა. ეს სოფელი ბარათაშვილებს ეკუთვნოდათ. ხოლო ოძელაშვილები და სოფლის სხვა გლეხები მათი ყმები იყენენ.

არსენას მებატონეს — ზაალ ბარათაშვილს — გოგო-ბიჭების მოტაცება და გაყიდვა, მოახლე ქალების შეურაცხყოფა, ხელქვეითობის ციმა-ტყვივა არაფრად მიაჩნდა.

ზაალ ბარათაშვილის ყმების ჯავრი არსენა ოძელაშვილმა იყარა.

არსენა სახელგანთქმული სახალხო გმირის ზედმეტი სახელია. მისი ნამდვილი სახელი იყო იოსები. „არსენას ლექსის“ ერთ-ერთი ვარიანტი გვაუწყებს: „სახელად ჰქვიან იოსებ, მეტი სახელი არსენა“.

არსენას ორი ძმა ჰყოლია: უფროსი ზურაბი და უმცროსი გოგია (გიორგი). სახალხო გმირი შუათანა შვილი ყოფილა. არსენა დაბადებულა 1809 წელს.

მომავალ „მარაბდელ გმირს“ ბავშვობიდანვე დაჰყვა თავისუფლებისა და დამოუკიდებლად ცხოვრებისადმი ტრფიალი.

1829 წლის ქართველ გლეხთა აჯანყებას მემამულეებისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, როგორც უკანასკნელ ხანებში გამოირკვა, არსენა ოძელაშვილი მეთაურობდა. ბატონების წინააღმდეგ ამბოხებულ განდგომილ გლეხთა შორის აღმოჩნდა რამდენიმე სულმოკლე, რომლებმაც უკან დაბრუნება განიზრახეს. არსენა ოძელაშვილი გადაუდგა უკან დაბრუნების მოსურნეებს, თოფი ზემოთ ამართა და გამოაცხადა: ვინც უკან წას-

ვლას განიზრახავს, სიცოცხლეს გამოვასალმებო.

გლეხობა მაშინ ბოლომდე არ გაჰყვა არსენა ოძელაშვილს და ამის შემდეგ იგი მარტო იბრძოდა უკანონობის წინააღმდეგ.

არსენას უყვარდა თავისი მებატონე ზაალ ბარათაშვილის მოახლე გოგო სალომე და სურდა ცოლად შეერთო. ქალსაც მოსწონდა არსენა. მაგრამ ბარათაშვილმა გოგოს გამოყიდვა მოითხოვა. არსენამ მთელი წლის განმავლობაში აგროვა ფული. როცა საჭირო თანხა შეაგროვა და მიუტანა ბატონს, მან ახალი მოთხოვნა წარუდგინა არსენას. მაშინ გაჯავრდა არსენა და ქალი გაიტაცა.

ამის შემდეგ დიდ დროს არ გაუვლია, რომ არსენა ოძელაშვილი დააპატიმრეს, მისი საცოლე სალომე კი ზაალ ბარათაშვილმა სხვაზე გაათხოვა.

პატიმრობიდან თავდაღწეულმა არსენამ საცოლე უკან ვერ დაიბრუნა და ტყეს შეაფარა თავი.

ტყეში გახიზნულმა არსენამ მალე ზაალ ბარათაშვილის მეორე მოახლე ქეთევანი მოიტაცა და ახალციხეში გადავიდა საცხოვრებლად. ახალციხეს თავშეფარებული არსენა ხშირად გადმოდიოდა ქართლში.

როცა ახალციხე თურქებისაგან გაათავისუფლეს, არსენა თავისი ცოლით უკან წამოვიდა ქართლში. თავისი ბარჯის უმეტესი ნაწილი ოძელაშვილმა მარაბდაში ჩაიტანა. მაგრამ იქ დიდხანს ვერ დაჰყოვა თავისი მეუღლე ქეთევანი და თბილისში გადმოსახლდა, ავლაბარში დაიქირავა ერთი ოთახი. ეს 1838 წელს მოხდა.

მეზობლებმა იცოდნენ, რომ არსენა მათ გვერდით ცხოვრობდა, მაგრამ არავინ აბუღებდა, პირიქით. ყოველ ფარავდა მას.

ქართლის 1829 წლის ამბოხებისა და ზაალ

ბარათაშვილთან მომხდარი უსამოვნების შემდეგ არსენა კიდევ უფრო მეტად შეურიგებელი მტერი გახდა შემამულეების, ჩარჩვაჭრებისა და ცარიზმისა.

ტყეში გაჭრილი არსენა ოძელაშვილი უსამართლობის მოძულე და ღარიბების შემწე იყო, და არა ავანაკი და მძარცველი.

არსენა ოძელაშვილი ვერ იტანდა ბატონყმობას და, სადაც კი „დროს წაიხელთებდა“, ათავისუფლებდა ყმებს.

ერთხელ, კახეთიდან წამოსული არსენა თბილისს რომ მოუახლოვდა, იმერელ მებატონეს შეხვდა, რომელიც მოერეკებოდა მებატონე ძაღლებს... და ყმა გოგო-ბიჭებს.

მებატონეს ძაღლები კახეთში ყმა გოგო-ბიჭებში გადაეცვალა და ახლა ყმები, დარჩენილ ძაღლებთან ერთად, თოკით ერთმანეთთან გადაბმული, თბილისისაკენ მოჰყავდა. ამის დანახვაზე არსენა განცვიფრდა. გამოელაპარაკა იმერელ მებატონეს და მახლობელ დუქანში შეიპატიჟა.

მებატონემ ძაღლები და ყმა გოგო-ბიჭები ერთად ოთახში მოათავსა, ცოტა პური აჭამა და წყალი დააღვინა, კარები ბოჭლომით დაკეტა და გასაღები ჯიბეში ჩაიდო.

არსენამ ეს იმერელი მებატონე დაათრო. როცა ამ უკანასკნელს ძილი მოეკიდა და ტახტზე მიიძინა, არსენამ ჯიბიდან გასაღები ამოუღო, ყმებს კარები გაუღო, საგზალი უყიდა და კახეთისაკენ გაისტუმრა. არსენა კვლავ სამიკიტნოში დაბრუნდა, მძინარე მებატონეს გასაღები ჯიბეში ჩაუდვა და გათქნებისას გასცილდა იქაურობას.

ხალხს უზომოდ უყვარდა თავისი ქომავი არსენა და ხშირად მიჰყავდათ იგი ქართლსა და კახეთში ნათლიად, მეჯვარედ და სხვ.

ბატონყმობისა და თვითმპყრობელობის შეურიგებელ მტერს არსენა ოძელაშვილს გაფაციცებით ეძებდა მეფის ხელისუფლება და ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ ხელში ჩაეგდო იგი. არსენას თავი „მის წონა ოქროდ“ იყო შეფასებული.



ფულს დაეხარბა არსენას ნათლიამა ფარსადან ბოდბისხეველი. მან შინ მიიტყუა არსენა და დაპატიმრება მოუწოდოდა, მაგრამ არსენამ გაქცევა მოახერხა. ამ შემთხვევიდან რამდენიმე ხნის შემდეგ არსენა ვერაგულად მოკლეს მცხეთასთან გიორგი კუჭანტელმა და მისმა ლეკის ბიჭმა.

ხალხმა დიდი პატივისცემით დაკრძალა არსენა მცხეთაში, მტკვრის პირად.

საბჭოთა ხელისუფლებამ ძეგლი აუგო მარაბდელ გმირს.

არსენას ლექსის ავტორის ენაობა უცნობია, მაგრამ მთქმელი სახალხო გმირის თანამედროვე უნდა ყოფილიყო. 1846 წელს „არსენას ლექსი“ უკვე შეთხზული იყო.

„არსენას ლექსის“ პირველი ბეჭდური გამოცემა 1872 წელს გამოვიდა. ამის შემდეგ იგი ბევრჯერ გამოიცა.





# სასამთროები უდაბნოში



## თხუნელა

თურქმენეთის დედაქალაქ აშხაბადის ახლო ჩრდილოეთით მდებარეობს უდაბნო ყარა-ყუმი.

ზაფხული უდაბნოში ხანგრძლივი, ცხელი და მშრალია. შვიდი-რვა თვის განმავლობაში წვიმის ერთი წვეთიც არ ეცემა მიწას. გაივლით ათეულ კილომეტრ მანძილს უდაბნოში და ვერ დაინახავთ ერთ მწვანე ბუჩქს.

ირგვლივ მყუდროებაა, საშინელი პაპანაქება. პორიზონტზე ირხევა გავარჯარებული ჰაერი, და უცებ შორს ქვიშის გროვებს შორის, მკვეთრად მოჩანს ატმოსფერული სიმწვანე.

— მირაყი ხომ არ არის ეს? — ფიქრობთ გოცებულნი.

არა, ეს საკოლმეურნეო ბაღივია. ამ ფხვიერ, გამისვლებულ ქვიშაზე თურქმენ კოლმეურნეებს მოჰყავთ მშვენიერი სასამთროები.

გრძელი ლერწები მკიდროდაა გადახლართული ქვიშაზე. მზეზე ბრწყინავენ მუქი მწვანე, ზოლებიანი სასამთროები. საკმარი-სია დანით ოდნავ შეეხოთ მწიფე ნაყოფს კანს, რომ იგი ხმაურით სკდება, ტკბილი წვენი წვეთები იღვრება ქვიშაზე.

საინტერესოა, ამ ცხელ ქვიშაში სად პოულობს მასაზრდობელ წყალს სასამთროების ბუჩქები? როგორც ჩანს, ქვიშაში, არც ისე ღრმად. ძალიან დიდხანს ინახება გაზაფხულის წვიმებისა და გამდნარი თოვლის სინესტე.

ყარა-ყუმის სასამთროების ბუჩქები გარეგნულად განსხვავდება ნესტიან ნიადაგებზე მოზარდი სასამთროებისაგან. მათ აქვთ მაგარი ლერწები, მკვრივი, სქელკანიანი, ყვითელი ხეშეში ბოუსუებით დათარული ფოთლები. ამ ბუჩქების ფესვები მსხვილი და უხეშია. — ხის ფესვებს ჩამოგავს. მათგან გამოდის წვრილი ფესვები, რომელთა სიგრძე ათეულ მეტრს აღწევს. რათა ერთმა მცენარემ მეორეს არ წაართვას სინესტე, სასამთროების ბუჩქებს რაკვენ ერთმანეთისაგან 15-20 მეტრის დაშორებით.

რამდენად მეტი ატმოსფერული ნალექი ეცემა მიწას გაზაფხულზე, მით უფრო უკეთესია სასამთროს მოსავალი. მით უფრო მსხვილია ნაყოფი. ხშირად მისი წონა 20 კილოგრამს აღწევს.

თითოეულ ბუჩქზე 15-20 ცალ სასამთროს კრეფენ, ჰექტარზე 6 ტონამდე მოსავალს იღებენ.

თხუნელა მიწში ცხოვრობს. თავისი სხეულის მოყვანილობით და მოქნილი ბეწვით მიწის თხრას და მიწში სავალი გზების გაყვანას იოლად ახერხებს. ბეწვი არც კი ესვრება, თუ მოთიხნარო ან სველ მიწაში არ მოხვდა.

საქართველოში თხუნელა ზღვის სანაპიროდან დაწყებული ალპურ ზონამდეა გავრცელებული. ეტანება ფხვიერ და ნოტიო ნიადაგს. თხუნელა უფრო ხშირია დასავლეთ საქართველოში, რადგან იქ ბევრი ატმოსფერული ნალექი იცის.

თხუნელა იკვებება ქია-მატლებით. დასავლეთ საქართველოში, მიწის თხრის დროს, ის ციტრუსოვანი მცენარეებისა და საერთოდ ბაღის მცენარეების ფესვებს აფუძებს. ბეწვეულ მეურნეობაში თხუნელა სასარგებლო ცხოველად ითვლება. გაზაფხულზე დღე-ღამე თხუნელა 3-4 შვილს ყრის.

ბეწვს ეს ცხოველი სამჯერ იცვლის წლის განმავლობაში. გაზაფხულის ბეწვის ცეცხლ თებერვლის დამდგას ან მარტის დასაწყისში იწყება და 10 მისამდე გრძელდება. ჯერ დედლები იცვლიან ბეწვს, შემდეგ კი მამლები. ახალგაზრდები ბეწვს დაგვიანებით იცვლიან. მეორეჯერ ბეწვის ცეცხლ ივნისიდან იწყება. მესამეჯერ კი სექტემბრიდან. ზამთრის ბეწვი თხუნელას აქვს ოქტომბრიდან თებერვლის ბოლომდე. ბეწვის ცეცხლ კულიდან იწყება.

თხუნელას მოპოვება სხვადასხვა გზით შეიძლება. ამოგდება ბართაც ხერხდება (როცა მიწას თხრის) დილით ადრე ან საღამოს.

თხუნელას დიდი რაოდენობით მოპოვება, ივლის-აგვისტოში შეიძლება. კარგია თხუნელას ადრეული გაზაფხულის და გვიანდელი შემოდგომის ბეწვი.

მოპოვებულ თხუნელას ტყავი მშინვე უნდა გაერთიანდეს, რადგან ახლად დაშვრილს ტყავი იოლად იცვლება.

თხუნელას დამზადება წლის ყველა დროში როდია სასურველი. — ბეწვისმცველი თხუნელას ტყავი ზოგჯერ დაბალი ხარისხისაა. გარდა ამისა, თხუნელას მარაგაც გამოილევა. ციტრუსოვან რაიონებში, სადაც თხუნელას ზიანი მოაქვს, დასაშვებია მისი განუწყვეტელი დამზადება. მხოლოდ ტყეებსა და მინდვრებში, სადაც ის მცენარეებს იმდენად არ ენებს, მისი განუწყვეტელი დამზადება უნდა აიკრძალოს.

თხუნელას ტყავისაგან, გაღაღუმეების შემდეგ, ქაღალის პატო და ცალკე პატოს საყელო მზადდება.

სოფლის სკოლების მოსწავლე ახალგაზრდობას შეუძლია ხელი შეუწყოს სატყეო მეურნეობას თხუნელას ბეწვეულის დამზადებით.



# ბენდერაკი


განყოფილება ხელმძღვანელობს ოსტატობის კანდიდატი თინათინა ბიორაძემ  
საჰალრაკო ლეგენდა

ამ ლეგენდის ავტორი სამეფო ლიდი, გასული საუკუნის გამოჩენილი საჰალრაკო კომპოზიტორი, შეუღარებული ოსტატობით თანხვედა ამოცანებს, რომელთა მხატვრულ სიმაღლეს და გონებამახვილურ, ეფემტურ გადაწყვეტილებას აღტაცებაში მოჰყავდა ჰალრაკის მოტრფიალენი.

ქვემოთ მოგვყავს ს. ლომის ამოცანა, რომლის მსგავსს იშვიათად ვხვდებით ჰალრაკის ისტორიაში.

ოსმალეთთან ომის დროს, XVIII საუკუნის დასაწყისში, შვეციის მეფეს კარლს XII-ს დიდხანს მოუხდა მდინარე დნესტრზე ბენდერის ალყაშემორტყმულ ციხე-სიმაგრეში ყოფნა თავისი ამალით. მეფეს განსაკუთრებით უყვარდა ჰალრაკი და გარემოცვის პირობებშიც კი ხშირად თამაშობდა მსუბუქ პარტიებს შინისტრ გროტუშენთან.

ერთ-ერთ შეხვედრაში კარლს XII-ს, რომელიც თეთრებით თამაშობდა, დიაგრამაზე აღნიშნული მდგომარეობა შეექმნა.



მარეობა შეექმნა. მას შეეძლო მოელოდა, რომ სულაში დაეშამათებინა. შვეცრად ოსმალთა ჯარის ბანაკიდან გასროლილი ტყვიამ მოთამაშეთა შორის გაიზიულა და თეთრ მხედარი ნამსხვრევებად აქცია. კარლს XII-მ სცადა დაზიანებული მხედრის შეცვლა, მაგრამ შეამჩნია, რომ გროტუშენის მეფე უმხედროდაც შამათებში და ოთხ სულაში.

მან, სამწუხაროდ, ვერ მოასწრო ამ შესაძლებლობის განხორციელება, რადგან მტრის ბანაკიდან შემოჭრილმა ახალმა ტყვიამ თან გაიტაცა h2 პაიკი.

შვეციის მეფე დააფიქრა შექმნილს მდგომარეობას, მაგრამ მალე აღმოჩნდა, რომ უპაიკოდაც შეიძლება მოწინააღმდეგის დაშამათება ხუთ სულაში.

ბენდერის ალყაშემორტყმულ ციხე-სიმაგრეში გათამაშებული პარტიის ყურადღებით განხილვისას კომპოზიტორმა ამელუნგმა შეამჩნია: თუ ოსმალთა ტყვია საწყის მდგომარეობაში მხედრისა და პაიკის ნაცვლად საჰალრაკო დაფილან ვეტლს გადმოაგდებდა, მაშინ მოწინააღმდეგის მეფეს ექვს სულაში აშამათებდნენ.

ყველა გადაწყვეტის (შამათი სამ, ოთხ, ხუთ და ექვს სულაში) გამოხატავს ჩვენ მკითხველს მივანდობთ. ამოცანის სწორად ამომხსნელთა გვარებს გამოვაქვეყნებთ ჩვენი ჟურნალის საჰალრაკო განყოფილებაში.

## შინაარსი

ბ. ნაკაშიძე — ამხანაგები (მოთხრობა)	83	ბ. ეული-ქურიძე — მოკონებიდან	21
კ. მესხი — ორი თაობა	1	ლ. ვარდოსანიძე — რაიმონდა დიენა	23
ნ. ჰიქმეთი — ჩვენი სიმღერები (ლექსი)	6	ნ. მალაზონია — ვისი ბრალოა (ლექსი)	25
პ. ხახეიძე — გაშლილი აფრების ქვეშ	7	პ. ჭანტურაშვილი — ლეპეშინსკაის მიღწევები	27
მ. სანიციძე — მოფრინდნენ ჩემი მერცხლები (ლექსი)	9	ი. ბალახაშვილი — სახალხო გმირი ალსენა	28
თ. ლომინაძე — დედისერთა (მოთხრობა)	10	ა. პაპავა — თხუნელა	31
ი. ხინარულიძე — ოსტატი გოლა (ლექსი)	14	ჰალრაკი	32
ე. ყიფიანი — ლეილა (ზღაპარი)	15	გარეკანის პირველი გვერდის მხატვრობა — „ბიბლიოთეკაში“ — შესრულებულია სტალინური პრემიის ლაურეატ მხატვარ ა. ვეფხვაძის მიერ.	
ზ. ჯაბარზადე — თაფლას კვერა (მოთხრობა)	17		
დ. კობახიძე — ციტრუსების მკვნიბელთა მტრები	20		

რედაქტორი ბ. კ ბ ბ ნ ი ძ მ. საბჭოაქციო კოლეგია: მ. აბლაძემ, დ. ბერიტიშვილი, მ. მარდიანი, ბ. თაყვიშვილი, მარკიანი, მ. მირიანაშვილი, ო. ნემსაძე, ზ. შინგალია. პასუხისმგებელი მდივანი მ. თორღლა.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელ. 3-81-85

№ 05233 ტირაჟი 15.000 გამომცემლობის შეკ № 130 სტამბის შეკ. № 1089  
ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14  
ჟურნალის გარეკანი დაბეჭდილია „ზარია ვოსტოკას“ ოფსეტ-მანქანაზე.

# ჩვენი კატენდარი



## დიდი მემორიალი

დახედეთ მსოფლიოს რუკას. ჩვენი დიდი სამშობლოს სამხრეთით თქვენს ყურადღებას მიიპყრობს ყვითელი ხალხებით აღნიშნული უზარმაზარი ტერიტორია ქვეყნისა, რომელსაც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა ეწოდება. ამ ქვეყნის ფართობი ბევრად მეტია ამერიკის შეერთებული შტატების ფართობზე, მეტია ვიდრე მთელი ევროპის ფართობი. ზუთას მილიონამდეა ჩინეთის მცხოვრებთა რიცხვი.

2 წლის წინათ, 1949 წ. ოქტომბერს ჩინეთი გამოცხადდა სახალხო რესპუბლიკად. სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის სათავეში არჩეულ იქნა ჩინელი ხალხის სახელგანთქცილი მთელი მთა ქედანი.

ამიმე ბრძოლების შემდეგ, გადაიდგო რა იმპერიალიზმის უღელქო, ჩინეთის ხალხი ზუთმილიონიანი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით შეუდგა სოციალიზმის მშენებლობას.

განვლილი ორი წელი უდიდესი ვარდატების პერიოდი ქვეყნის ცხოვრებაში. ხალხმა სამუდამოდ დაიმკვიდრა ნაციონალური დამოუკიდებლობა. მიწა, ფაბრიკა-ქარხნები, ქვეყნის მთელი ნაციონალური შემოსავალი ხალხს ეკუთვნის. ჩინეთი მშვიდობის ერთ-ერთი მძლავრი ბურჯია მსოფლიოში. იგი საბჭოთა ქვეყნის დიდი მეზობელი და ერთგული მეგობარია. 17 მილიონი ბავშვი ყოველ დღით მხიარული ყრიაშულით მისწრაფის სკოლებისაკენ. 227 უმაღლესი სასწავლებელი ემსახურება გლეხებისა და მუშების შვილებს. ჩინელი ხალხი დღეს ბედნიერ და სამურ ცხოვრებას აწეებს.

## დიდი სახელმძღვანელო

ჩვენი საყვარელი დედა-სამშობლო, ბოლშევიკური პარტია, ბრძენი სტალინი ზრუნავენ იმისათვის, რომ ნორჩი თაობა სწავლობდეს, ეუფლებოდეს მეცნიერების საფუძვლებს. მილიონობით ეგზემპლარი სახელმძღვანელო წიგნები იბეჭდება ყოველწლიურად ჩვენი ქვეყნის სტამბებში. სახელმძღვანელოები მშობლიური ენისა და ლიტერატურის, რუსული ენის, მათემატიკისა და გეომეტრიის, ფიზიკისა და ქიმიის და ჯინ მოსთვის კიდევ წიგნებს, რომლითაც თქვენ მეცნიერების საფუძვლებს ეუფლებით, ცხოვრებასა და ბუნების კანონებს ეცნობით.

მაგრამ არის კიდევ დიდი სახელმძღვანელო, რომელიც გზას უნათებს საბჭოთა ადამიანებს თავიანთ შრომასა და ბრძოლაში. ეს არის წიგნი სახელგანთქცილი ბრძოლებისა და დიდი გამარჯვებების შესახებ. მას ჰქვია „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი“. გამოვიდა ეს წიგნი 13 წლის წინათ, 1938 წლის 1 ოქტომბერს. იგი დაწერილია ხალხთა ბრძენი ბელადის დიდი სტალინის მიერ. თითქმის ყოველწლიურად მრავალმილიონიანი ტირაჟით იბეჭდება ეს დიდი სახელმძღვანელო.

დიდი სტალინის ეს გენიალური ნაშრომი — „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი“ — თქვენი უფროსი თაობის საშავიდო წიგნია. როცა გაიზრდებით, თქვენც ინტერესით დაეწაფებით ამ დიდ სახელმძღვანელოს, რომელიც მოგვითხრობს იმ სახელგანთქცილი ბრძოლების შესახებ, რაც გაუწევია ჩვენს ხალხს ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, რათა ჩვენ ესრდენ ბედნიერი ცხოვრება გვქონებოდა.



## დემოკრატიული გერმანია

საბჭოთა არმიის ძლიერი დარტყმებით განადგურებულ იქნა გერმანიის ფაშიზმი. ეს იყო მარადლაუფიწყარ 1945 წლის 8 მაისს. ის დღე ზეიმი იყო თვით გერმანელ ხალხისათვისაც, რომელიც მრავალი წლის მანძილზე სულს დაფავდა შიტლერიზმის უღელქვეშ.

გერმანიის იმ ნაწილში, რომელიც საბჭოთა საოკუპაციო ზონას წარმოადგენდა, გერმანელმა ხალხმა დიდი რუსი ხალხის დახმარებით იწყო ახალი ცხოვრების აშენება. ხოლო 1949 წლის 7 ოქტომბერს გერმანელი ხალხის ნუბასურვილით შეიქმნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა. ეს კი მოზრუნების პუნქტი იყო ევროპის ისტორიაში. გერმანელი ხალხი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა და გერმანიის სოციალისტური ერთიანი პარტიის მეთაურობით ეწევა მშვიდობიან შემოქმედებით მუშაობას, ომისაგან დანგრეულის აღდგენას.

ფაშიზმის დამარცხების შემდეგ გერმანიის საბჭოთა საოკუპაციო ზონაში წლების მანძილზე მზადდებოდა საფუძვლები, რათა გერმანელ ხალხს მისცემოდა სრულყოფილი შექმნა დემოკრატიული წყობილება.

ახლა ეს ხალხი თავისი ბელადების ვალდებულ პიკისა და ოტო გროტევილის ხელმძღვანელობით, დიდი რუსი ხალხის მხარდაჭერითა და დახმარებით ადგას სოციალიზმის გზას, წარმატებით იბრძვის ერთიანი, დამოუკიდებელი, დემოკრატიული, მშვიდობისმოყვარე გერმანიისათვის.

გერმანელი ხალხი, ისე როგორც მსოფლიოს ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხი, ამ ბედნიერებას უმადლის მშვიდობის ფუძემდებელს მთელს მსოფლიოში — დიდ საბჭოთა კავშირს, ხალხთა ბრძენ ბელადს გენიოს სტალინს.



3.18/155



თბილისის ვაჟთა I საშუალო სკოლის IV კლასისა და მუსიკალური სკოლის ხუთოხანი მოსწავლე  
თათარ ჩუბინიშვილი ვიოლონჩელზე მეცადინეობის დროს.  
ფოტო ი. ბეჟაშვილისა